ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

მამუკა ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე: „პროკურატურა დიპლომატებს ჩვენ საქმეს წარუდგენს“



გვ.5



გვ.5

ახალციხეში პოლიციელის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფისთვის ერთი პირი დააკავეს

სამშაბათი, 3 სექტემბერი, 2019 №208 (8162) ფასი: 60 თეთრი

# „ბახტაძემ დაასამარა „ქართული ოცნება“



გვ.4

„ამის შესახებ ივანიშვილს გაზაფხულზე ვუთხარი“



გვ.2



გვ.3

## გია ნოდია: „გახარია-ღარიბაშვილი ოპოზიციური ადამიანების მიმართ მკაცრ პოლიტიკას გაატარებენ“

## მამუკა ბამყრელიძე: „დღეს „ოცნება“ ოპოზიციაზე ძლიერია“



გვ.3

„ივანიშვილი ყველა შესაძლო სიტუაციიდან მოგებული გამოდის“

## არჩილ თალაკვაძე: „ბიძინა ბეგიძემ იცოდა, რომ უმრავლესობიდან გავრიცხეთ“





გვ.3

### ბათუმში ახალშობილი ცალი თვალით დაიბადა



გვ.2

### ირაკლი ანთაძე: „ახალგორთან ე.წ. საზღვრის გადაკეტვის ინფორმაცია არ დაგვიდასტურეს“



გვ.2

სუს-მა ჟურნალისტებს ოსური დრონი აჩვენა

### ნუგზარ თინიკაშვილი: „ჩორჩანაში ბლოკპოსტის გახსნა სწორი გადაწყვეტილებაა“



გვ.4

სამართალი გვ.5

### რუსეთში ქართველი კანონიერი ქურდი დააკავეს



### ქურდობისთვის წარსულში ნასამართლევი პირი დააკავეს





### 85 წლის ომარ ბამყრელიძეს ოპერაცია გაუკეთეს

### მდინარე ალაზანმა, სავარაუდოდ, ადამიანის ძვლები გამორიყა



ISSN 1987-9385

2 16 წლის ლუკა ფოფხაძე გარდაიცვალა

4 ცხინვალი: „რუსეთი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიას დაიცავს ისე, როგორც თავისას“

2 ქუთაისში მამაკაცი დენმა მოკლა

2 პაატა სალია: „ძალიან მალე დავბრუნდებით კურიერით“

# რატომ გადადგა მამუკა ბახტაძე

## „ამის შესახებ ივანიშვილს გაზაფხულზე ვუთხარი“





გუშინ, 2 სექტემბერს, საქართველო პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე თანამდებობიდან გადადგა.

ამის შესახებ მან ფეისბუქში გამოქვეყნებულ ვრცელ პოსტში განაცხადა, მოგვიანებით კი თავისი გადაწყვეტილება მედიასთან შეხვედრაზე ახსნა.

მისი თქმით, თანამდებობის დატოვებას მიმდინარე წლის გაზაფხულზე აპირებდა, რის შესახებაც მაშინ ბიძინა ივანიშვილსაც ესაუბრა.

— მივიღე გადაწყვეტილება, დავტოვო თანამდებობა. ამის შესახებ პირველი საუბარი მქონდა გაზაფხულის ბოლოს, მათ შორის პარტიის თავმჯდომარესთან, ბიძინა ივანიშვილთან. ბუნებრივია, ეს საუბრები გრძელდებოდა.

მე გუშინაც მქონდა საბოლოო კონსულტაცია ჩვენს პოლიტიკურ გუნდთან და, შესაბამისად, მივიღე გადაწყვეტილება. ის საფუძველი და მიზნები, რაც იყო ჩემი ამ პოსტზე წარდგენისას, არის მიღწეული. სტრატეგიული განვითარების ჩარჩო არის შექმნილი და დანერგილი. ის მიზნები და ამოცანები, რომლებიც მე მამოძრავებდა და ამ მიზნების მისაღწევად მომცა გუნდმა მანდატი და ნდობა, მიღწეულია, — განაცხადა ბახტაძემ.

კითხვას, ხომ არ რჩება მინისტრთა კაბინეტში და ხომ არ არის მოსალოდნელი, ის განათლების მინისტრის პოსტზე იხილოს საზოგადოებამ, ყოფილმა პრემიერმა ასე უპასუხა:

— რა თქმა უნდა, არა. მე ვიქნები ჩვენი პარტიის პოლიტიკური საბჭოს წევრი. ჩემი შინაგანი განწყობა ნამდვილად არ არის, რომ მე აქტიური პოლიტიკით ვიყო დაკავებული.

მე საჯარო პოლიტიკაში შემოვედი კონკრეტული მიზნითა და ამოცანით, რომლის რეალიზაციაც მოხდა. შესაბამისად, მე ნამდვილად არ განვიხილავ და ჩემი შინაგანი განწყობა არ არის ის, რომ ამ ეტაპზე, პოლიტიკაში აქტიურად ვიყო ჩართული.

მისი აზრით, ვერც ერთი ხელისუფლება, რა შედეგიც არ უნდა დადოს, გინდა მოკლევადიანი, გინდა გრძელვადიანი, ვერ იქნება წარმატებული, სანამ სიღარიბის და ოკუპაციის გამოწვევა იქნება.

— ძალიან არასწორი იქნება, თუ რომელიმე ხელისუფლება თავის თავს წარმატებულს უწოდებს, როდესაც ქვეყანაში არის ან ერთი გამოწვევა, ან მეორე. ყველაზე ნაკლებად სადაც ვფიქრობდი, რომ ჩემი თავი წარმომედგინა, ეს იყო ქართული პოლიტიკა, მაგრამ სწორედ იმ მიზნებიდან გამომდინარე, რომლებიც აღვნიშნე, მაშინ გუნდში ჩვენ ერთობლივად მივიღეთ გადაწყვეტილება.

ეს დრო საკმარისი იყო იმისთვის, რომ ეს სტრატეგიული განვითარების ჩარჩო მოგვემზადებინა, დაგვეწყო მისი დანერგვა და უზრუნველგვეყო მისი მდგრადობა, რომელიც დღეს გამყარებულია ჩვენი კანონებით და საერთაშორისო ხელშეკრულებებით, — განაცხადა ყოფილმა პრემიერმა.

ის მუშაობის ეროვნულ ბანკში გაგრძელებას გამორიცხავს.

— რა თქმა უნდა, ამას გამოვრიცხავ. სიმართლე გითხრათ, მაინტერესებს, ასეთი ფანტაზიები როგორ და სად იბადება ხოლმე. პირდაპირ გითხარით, უახლოეს მომავალში აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას არ ვგეგმავ. ვრჩები პოლიტიკური საბჭოს წევრად.

ვიყავი და ვარ ჩვენი პოლიტიკური გუნდის ერთგული წევრი და აქედან გამომდინარე, ასეთი საუბრები ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. ეს ყველაფერი არის ფანტაზიის ნაყოფი, — დასძინა მამუკა ბახტაძემ.

# ირაკლი ანთაძე: „ახალგორთან ე.წ. საზღვრის გადაკეტვის ინფორმაცია არ დაგვიდასტურეს“

## სუს-მა ჟურნალისტებს ოსური დრონი აჩვენა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი მოადგილის ირაკლი ანთაძის განცხადებით, ერგნეთში გამართული მეორე ტექნიკური შეხვედრა კონსტრუქციულ რეჟიმში წარიმართა.



მისი თქმით, მხარეები შეთანხმდნენ იმაზე, რომ გადაიდგას ნაბიჯები, „რათა მოხდეს სიტუაციის დეესკალაცია. შევთანხმდით, რომ შედგეს კიდევ ერთი შეხვედრა, რომელზეც გაგრძელდება მსჯელობები“.

— წნელისთან დაკავშირებით დავაფიქსირეთ პოზიცია, რომ სიტუაციის დეესკალაციას არაფერი უდგას წინ. აღვნიშნეთ, რომ პოლიციის საგუშაგო საფრთხეს არ შეიცავს, მათ მხარეს არაპროპორციული მოძრაობა კი ძაბავს მოსახლეობას. საუბარში არ ჰქონია ადგილი დაძაბულობას, თავად გამოხატეს მზაობა, გავაგრძელოთ დიალოგი ტექნიკური შეხვედრების ფორმატში. მზად ვართ, ჩავატაროთ იმდენი შეხვედრა, რამდენიც საჭიროა, — განაცხადა ანთაძემ.

ის შეეხო გუშინ გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ახალგორში ე.წ. საზღვრის გადაკეტვა იგეგმება.

ანთაძემ განაცხადა, რომ საკითხით დაინტერესდა, რაზეც უპასუხეს, რომ „როდესაც დე ფაქტო ცხინვალის წარმომადგენლები ახორციელებენ მსგავსი ტიპის აქციებს, ცხელი ხაზი აქტიურდება ან მათი განცხადებები კეთდება, არც ერთი და არც მეორე არ მომხდარა. ყოველ შემთხვევაში, დღეს მათ საზღვრის გადაკეტვის ინფორმაცია არ დაგვიდასტურეს“.

შეხვედრის დაწყებამდე ირაკლი ანთაძემ ჟურნალისტებს ის უპილოტო საფრენი აპარატი აჩვენა, რომელიც ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ აბანოსთან სამოქალაქო კვადროკოპტერთან შეჯახების შედეგად ჩამოვარდა.

— გაჟღერდა უსაფუძვლო ბრალდებები, თითქოს საოკუპაციო ძალების კუთვნილი უპილოტო საფრენი აპარატი ჩამოვარდა ჩვენი საპოლიციო ქვედანაყოფების მიერ გახსნილი ცეცხლის შედეგად, რომელიც გაიხსნა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან და, რა თქმა უნდა, ეს მტკიცება მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს და არ შეესაბამება სინამდვილეს.

გთხოვთ დააფიქსიროთ, რომ მას არ აღენიშნება არანაირი ცეცხლსასროლი იარაღის კვალი და, შესაბამისად, გაჟღერებული ბრალდებები უსაფუძვლოა და სინამდვილეს არ შეესაბამება. ეს არის სტანდარტული კვადროკოპტერი, რომელსაც გამოიყენებს ყველა მოყვარული, — აღნიშნა ანთაძემ.

# „ქართული ოცნების“ ოფისში დღეს პოლიტსაბჭოსა და უმრავლესობის სხდომები გაიმართება




„ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტიკური საბჭოს სხდომა დღეს, 3 სექტემბერს გაიმართება.

სხდომას პარტიის თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი უხელმძღვანელებს. როგორც ინტერპრესნიუსს „ქართულ ოცნებაში“ განუცხადეს, პოლიტსაბჭოს დასრულების შემდეგ დაგეგმილია საპარლამენტო უმრავლესობის სხდომაც.

პოლიტსაბჭოს სხდომა „ქართული ოცნების“ ოფისში 09:00 საათზე დაიწყება.

არსებული ინფორმაციით, სწორედ დღეს გახდება ცნობილი, თუ ვინ იქნება წარდგენილი საქართველოს პრემიერ-მინისტრის პოსტზე.

მამუკა ბახტაძეს, სავარაუდოდ, შს მინისტრი გიორგი გახარია შეცვლის.

# ბათუმში ახალშობილი ცალი თვალით დაიბადა



გუშინ, 2 სექტემბერს, საღამოს, ბათუმის სამედიცინო ცენტრ „ბი ემ სის“ ტერიტორიაზე პაციენტის ახლობლები და პერსონალი ერთმანეთს ფიზიკურად დაუპირისპირდნენ.

შემთხვევის ადგილას საპატრულო პოლიცია მივიდა.

მოქალაქეების გაღიზიანება იმ ფაქტმა გამოიწვია, რომ ახალშობილი ცალი თვალით დაიბადა.

ოჯახის წევრები ამბობენ, რომ ბავშვი ოთხი დღის წინ გაჩნდა, თუმცა დეფექტის შესახებ ინფორმაცია მათთვის გუშინ გახდა ცნობილი.

პაციენტის ახლობლები იმ ექიმის პასუხისმგებლობის დასმას ითხოვენ, რომელმაც, მათი მტკიცებით, ახალშობილის ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია დამალა.

ექიმებმა კამერასთან საუბარს თავს აარიდეს, სამედიცინო დაწესებულების მენეჯმენტში კი პასუხისმგებლობას იცილებენ და ამბობენ, რომ მუცლად მყოფი ბავშვის ჯანმრთელობის შესახებ დიაგნოზი ექოსკოპისტს უნდა დაესვა, თუმცა ისიც აღნიშნეს, რომ, შესაძლოა, ნაკლი თავის დროზე არ გამოჩენილიყო.

# 16 წლის ლუკა ფოფხაძე გარდაიცვალა



16 წლის მოზარდი, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობაც რეანომობილის გაუმართაობის გამო გართულდა, გარდაიცვალა.

ლუკა ფოფხაძე ქუთაისის ინტერვენციული მედიცინის ცენტრში მკურნალობდა, ის უგონო მდგომარეობაში 41 დღის განმავლობაში იყო.

გარდაცვლილის მამიდის, ფატი გოგოლაშვილის ინფორმაციით, მოზარდი ქუთაისში მკურნალობდა, მისი მდგომარეობა მძიმე იყო.

16 წლის მოზარდი რაჭიდან კლინიკაში 19 ივლისს შეიყვანეს. ოჯახის ინფორმაციით, მოზარდი ზღვიდან დაბრუნების შემდეგ დაუდგენელი ვირუსით შეუძლოდ გახდა. მდგომარეობის დამძიმების შემდეგ კი ამბროლაურის კლინიკაში გადაიყვანეს, საიდანაც რეანომობილით გადაყვანა გახდა საჭირო.

გზაში რეანომობილის აპარატურა დაზიანდა, რამაც მდგომარეობის გართულება გამოიწვია. საბოლოოდ, საჭირო გახდა მეორე რეანომობილის გამოძახება, რომელმაც სამი საათით დაიგვიანა.

მომხდარზე მოკვლევა მიმდინარეობს.

# პაატა სალია: „ძალიან მალე დავბრუნდებით კურიერით“



სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორის, პაატა სალიას განცხადებით, საინფორმაციო გამოშვება კურიერი პირდაპირ ეთერში რამდენიმე დღეში დაბრუნდება.

როგორც პაატა სალიამ განაცხადა, არხი ემზადება ახალი სეზონისთვის, რომ გადაცემები ეთერში დაგეგმილ დროს გავიდეს.

— რუსთავი 2-ელები შვებულებიდან დაბრუნდნენ. მოგეხსენებათ, რომ შემოდგომის სეზონი ძალიან მალე იწყება. მზადება მიდის სეზონისთვის, იმისთვის, რომ ყველა გადაცემა, რომელიც მაყურებლის სიმპათიით, სიყვარულით სარგებლობს, აუცილებლად გავიდეს იმ დროს, რა დროსაც იყო დაგეგმილი.

კომედის ჯგუფის ძალიან დიდი ნაწილი ჩვენთან არის. ჩვენთან არის მაია ასათიანი, ჩვენთან არის შუადღის, დილის გადაცემების ძალიან დიდ ნაწილი. შესაბამისად, ვერ ვხედავ ვერანაირ პრობლემას იმისთვის, რომ ჩვენ ეთერში შევიდეთ იმ დაგეგმილი გრაფიკით, რაც იყო და ძალიან მალე დავბრუნდეთ კურიერით.

მე ვსაუბრობ რამდენიმე დღეზე, როდესაც ჩვენ შეგვეძლება უკვე სრულყოფილად, მაყურებელს პირველებმა მივაწოდოთ ის ინფორმაცია, რაც ხდება ქვეყანაში, — განაცხადა პაატა სალიამ.

# ქუთაისში მამაკაცი დენმა მოკლა



გუშინ, 2 სექტემბერს, ქუთაისში მამაკაცს დენმა დაარტყა, რის შედეგადაც ის ადგილზე გარდაიცვალა.

შემთხვევა თამარ მეფის ქუჩაზე მოხდა.

30 წლამდე მამაკაცს დენმა იმ დროს დაარტყა, როდესაც ის მეუღლის კუთვნილი საოჯახო სასტუმროს ფასადზე აბრის გაკვრას ცდილობდა. თვითმხილველების ინფორმაციით, მამაკაცმა, სავარაუდოდ, დენი არ გათიშა და ისე მუშაობდა შიშველ სადენებთან.

— აბრა უნდოდა ცოტა მაღლა აეწია და, როგორც ჩანს, დენი არ გათიშა. პირდაპირ შიშველ სადენებთან მუშაობდა. სასტუმროს ჰყავს ელექტროხელოსნებიც და რატომ გადაწყვიტა თავად ამის გაკეთება, არ ვიცით, — ამბობენ ადგილობრივები.

უბედური შემთხვევის შემდეგ ადგილზე გამოცხადდა „ენერო პრო ჯორჯიას“ ჯგუფი, რომელმაც სადენები შესაბამისი მასალით შეფუთა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება 240-ე მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო.

# საქართველოში გვატემალის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩამოდის



საქართველოში 3 სექტემბერს პირველი ოფიციალური ვიზიტით გვატემალის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩამოვა.

ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს საგარეო უწყება ავრცელებს.

სანდრა ხოველ პოლანკო ვიზიტის ფარგლებში საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდება.

პოლანკოს საგარეო უწყებაში ქართველი კოლეგა დავით ზალკალიანი მიიღებს. გვატემალის პირველი დიპლომატი ასევე შეხვდება საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარეს და გვატემალის რესპუბლიკის პარლამენტთან მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელს, სოფო ქაცარავას, ასევე იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს.

ვიზიტის ფარგლებში, გვატემალის საგარეო საქმეთა მინისტრი პატივს მიაგებს საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპული გმირების ხსოვნას.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მამუკა გამყრელიძე: „დღეს „ოცნება“ ოპოზიციაზე ძლიერია“

## „ივანიშვილი ყველა შესაძლო სიტუაციიდან მოგებული გამოდის“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მამუკა გამყრელიძე პასუხობს.

***– ბატონო მამუკა, როგორც მოსალოდნელი იყო, სექტემბერი ცვლილებებით დაიწყო. პრემიერმა ბახტაძემ თანამდებობა დატოვა. რატომ გაუშვეს მამუკა ბახტაძე?***

– ბახტაძესთან დაკავშირებით დაახლოებით ისეთივე შეგრძნება მაქვს, რაც მქონდა მარგველაშვილთან დაკავშირებით. ვერ გაიგებდი, იყო, არ იყო. ასეთია ჩემი შთაბეჭდილება, იყო და არა იყო რა.

ახლა მთავარი ინტრიგაა, ვინ გახდება პრემიერ-მინისტრი და, სავარაუდოდ, ეს გახარია იქნება და ის ბევრად „საინტერესო“ პრემიერ-მინისტრი იქნება. გახარია ნამდვილად ოდიოზური ფიგურაა. მის მიმართ საკუთარ გუნდშიც არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა, მას, „ოცნების“ რამდენიმე თავგადაკლული წევრის გარდა, საკუთარი გუნდის წევრებიც ვერ იტანენ. ის ძალიან ხისტი ადამიანია.

***– შეიძლება, რომ ივანიშვილი ვადამდელი არჩევნებისთვის ემზადებოდეს?***

– ამ სცენარს არ გამოვრიცხავ. ყველაფერი, რასაც გააკეთებს ბიძინა ივანიშვილი, მისთვის იქნება მომგებიანი.

***– არის მისი პოზიციები იმდენად მყარი, რომ მომგებიან სიტუაციაში იყოს?***

– კი იძახიან, დამთავრდა ეს ხელისუფლება, ძალიან დასუსტებულები არიანო, მაგრამ ნამდვილად არ არის ასე. როგორც აღმოჩნდა, მათ შეუძლიათ ის პროცესებიც კი, რომლებიც ქუჩაში გადადის, სათავისოდ გამოიყენონ, მართონ სხვადასხვა საშუალებებით და გაამარგინალონ.

***– განიხილება სცენარი, რომ პარლამენტი ახალ მთავრობას არ დაამტკიცებს და პრეზიდენტი დაითხოვს პარლამენტს.***

– დიდი ქაოსია. ყველა შესაძლო სცენარს განიხილავენ. სიმართლე რომ გითხრათ, ახალი პრემიერის შემოყვანა არჩევნებამდე ერთი წლით ადრე, ცოტა გაუგებარია. შემოჰყავთ ხოლმე არჩევნების წინ, რომ გაუძლიერეს გუნდს, რაღაც ახალი პროგრამა დადოს და ასე შემდეგ.

აქ რაღაც სხვაა ჩაფიქრებული. ერთი წლით ადრე, თანაც ისეთი ხისტი მოთამაშეების შემოყვანა, როგორებიც გახარია-ღარიბაშვილი არიან, იმას ნიშნავს, რომ ძალიან ხისტ ნაბიჯებზე წავლენ, უკან არაფერზე დაიხევენ და არანაირი დათმობა არ იქნება.

ამიტომ ოპოზიცია მზად უნდა იყოს იმისთვის, რომ ძალიან სერიოზული დაპირისპირება ექნება ხელისუფლებასთან.

***– ემზადებიან რომ მესამე ვადითაც დარჩნენ?***

– ეს ხალხის გადასაწყვეტია. ხომ იცით, როგორც ხდება. ერთ წუთში შესაძლოა ყველაფერი ამოყირავდეს. მით უმეტეს, საქართველოში და, მით უმეტეს, ჩვენი მოსახლეობის პირობებში.

ჩვენი ხალხი ძალიან ემოციურია და ამ ემოციურ ფონზე შესაძლოა ისეთი რაღაც მოიმოქმედოს, რომ ყველაფერი თავდაყირა დადგეს.



***– თუკი ივანიშვილმა გადააგდო ოპოზიცია პროპორციულ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით, რამდენად გადაყლაპავს ამას ოპოზიცია?***

– ეს იქნება ძალიან მძიმე დარტყმა პატარ-პატარა პარტიებისთვის. მათ სერიოზული იმედი აქვთ. ისინი სუფრაზე დაპატიჟეს და აღმოჩნდება, რომ ნასუფრალსაც ვერ მიიღებენ. ეს ძალიან შეურაცხმყოფელი იქნება მათთვის. თუ ასე მოხდა, ბატონი ბიძინა სერიოზულ მტრებს გაიჩენს.

ივანიშვილი ყველა შესაძლო სიტუაციიდან მოგებული გამოდის. აწყობს ვადამდელიც და თუ ძლიერი წნეხი იქნება და გადავლენ პროპორციულზე, აქედანაც ისევ ის დარჩება მოგებული. გააჩნია, როგორ ფეხზე ადგება, როგორ გამოიძინებს, ისეთ გადაწყვეტილებას მიიღებს. ის რაც ბოლო პერიოდში ხდება, ეს მხოლოდ მისი პირადი გადაწყვეტილებებია. გაიღვიძა და ბიძინა გეგიძე გარიცხა უმრავლესობიდან.

***– რატომ გარიცხეს ბიძინა გეგიძე?***

– ასე მოინდომა მამამარჩენალმა. როგორ ჩანს, რაღაც არ მოეწონა. ჩემი რაიონის დეპუტატია და არც ვიცნობთ. არც გაკეთებული გვინახავს მისი და არც გაფუჭებული. რატომ გარიცხეს, რა დააშავა ასეთი, ეს მარტო ბიძინამ იცის.

მთელი სისტემა ამ ერთ კაცზეა ჩამოკიდებული. ხომ ყველა ვხედავთ, რაც ხდება?! სიმართლე გითხრათ, ახლა ცოტა დაბნეულ სიტუაციაში ვარ. იმდენად ფართო აქვს ახლა სათამაშო ველი ბატონ ბიძინას, რომ რას გააკეთებს, კაცმა არ იცის. ამის პროგნოზირება დღეს შეუძლებელია. აი, ოპოზიცია რას გააკეთებს, ის კი ვიცი.

***– რას? ან რამდენად მძიმე დარტყმა იქნება ოპოზიციისთვის, თუკი ვადამდელი არჩევნები დაინიშნა?***

– ძალიან მძიმე იქნება, უმძიმესი, პირდაპირ გეტყვით. როგორც კი თქვენს გაზეთში მსგავს განცხადებებს გავაკეთებ, ოპოზიციის გარკვეული ნაწილი მაშინვე იწყებს ჩემთან ბრძოლას, რომ რატომ ვაკეთებ ასეთ განცხადებებს და რატომ ვამბობ ამას, მაგრამ როგორ არ ვთქვა?!

ყველასთვის ნათელია, რომ ჩვენ არ ვართ რეალურად მზად არჩევნებისთვის. არის ცალკეული პარტიები, თუნდაც გიორგი ვაშაძის, სადაც მიმდინარეობს განხილვა წინასაარჩევნო პროგრამის, მაგრამ დანარჩენები რას აკეთებენ? ნაციონალური მოძრაობა რას აკეთებს, ვერ გეტყვით, არ ვიცი, თვეზე მეტია, სამწუხაროდ, არანაირი შეხება არ გვქონია.

***– ოპოზიციაშიც დიდი დაპირისპირება და განხეთქილებაა?***

– ოპოზიციაში რაღაცა გარკვეული დუღილი სულ იქნება, იმდენად ეკლექტურია ოპოზიცია, სრულიად სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების და გემოვნების და თუნდაც სხვადასხვა ინტელექტუალური შესაძლებლობის გუნდებია.

ყველაფრის მიუხედავად, ეს ძალები ცდილობენ, ერთად შეებრძოლონ „ქართულ ოცნებას“, მაგრამ მოდით ვთქვათ სიმართლე – ამ ეტაპზე, „ქართული ოცნება“ უფრო ძლიერია. ძლიერია იმით, რომ ყოველთვის ახერხებს ოპოზიციის ამ ერთიანობის დარღვევას.

თუ ბიძინა ვადამდელ არჩევნებს გამოაცხადებს, იქნებ ამან მაინც გაუჩინოს ოპოზიციას გაერთიანების ინტერესი. წესით, ეს იძულებითი ნაბიჯი იქნება გაერთიანებისთვის.

15 სექტემბრამდე აბსოლუტურად ყველაფერი გამოჩნდება და დალაგდება. ამ ეტაპზე ოპოზიცია რატომღაც ცალ-ცალკე მოქმედებს. განცხადებებიც ცალკე კეთდება. ჯერ კიდევ ზაფხულის ეფექტია და ალბათ ჩამოვყალიბდებით, რა გვინდა.

# გია ნოდია: „გახარია-ღარიბაშვილი ოპოზიციური ადამიანების მიმართ მკაცრ პოლიტიკას გაატარებენ“

იაგო ნაცვლიშვილი

**მედიის ინფორმაცია და საზოგადოების მოლოდინი გამართლდა, მამუკა ბახტაძემ დატოვა პრემიერ-მინისტრის თანამდებობა. ახლა მთავარი ინტრიგა ის არის, თუ ვინ გახდება ქვეყნის ახალი პრემიერ-მინისტრი, რომელიც დიდი ალბათობით დღეს გაირკვევა.**

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი **გია ნოდია** საუბრობს.

***– მამუკა ბახტაძემ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების ტრადიცია გააგრძელა, რაც წინა პრემიერ-მინისტრების შემთხვევაში გვქონდა. რა გითხრათ ამ პროცესმა თქვენ?***

– ის მითხრა, რომ პრინციპულად არაფერი არ იცვლება. შეიცვლება პრემიერ-მინისტრი, მაგრამ არაფერი არ იცვლება იმ თვალსაზრისით, რომ როგორც იცვლება პრემიერ-მინისტრები, წესი იგივე რჩება. ბიძინა ივანიშვილს ძალიან უყვარს რაღაც ილუზიებისა თუ მოჩვენებების შექმნა. ამ შემთხვევაშიც ბახტაძე მაქსიმალურად ცდილობდა, რაღაცნაირად დავერწმუნებინეთ, რომ ის მართლა გადადგა და რაღაც ლოგიკა დაენახვებინა, რომ აი მიზანი დავისახე და ეს მიზანი წელიწადში და რამდენიმე თვეში შევასრულე და ახლა გადავდგებიო.

მაგრამ, ცხადია, რომ ეს არ იყო მისი გადაწყვეტილება და არაფერი საერთო არ აქვს მის ახსნა-განმარტებას იმ რეალურ მიზეზებთან, რის გამოც ის გადააყენეს. თუმცა, რეალურად ეს რეალური მიზეზებიც ჩვენ არ ვიცით და არც შეიძლება ვიცოდეთ.

***– მის მიმართვაში საუბარი იყო იმაზე, როგორ სწორად შეასრულა დასახული მიზნები – იქნება ეს ნატოსთან ურთიერთობა, ამერიკასთან, ეკონომიკური წინსვლა, განათლების რეფორმა და ა. შ. თუ ასეთი კარგი პრემიერი იყო, მისი გადადგომის ლოგიკა სად არის?***



– რა თქმა უნდა, ამაში არანაირი ლოგიკა არ არის და სწორედ ამას ვამბობ. მის განცხადებაში არანაირი ლოგიკა არ ყოფილა, ისევე, როგორც ღარიბაშვილის განცხადებაში, როდესაც მან პრემიერის პოსტი დატოვა. გახსოვთ ალბათ, მან გვითხრა, რომ სამშობლო და ღმერთი უფრო მაღლა დგას, ვიდრე თანამდებობა. ანუ, პრინციპულად შეუძლებელია დავიჯეროთ, რომ ეს იყო მიზეზი.

ერთადერთი გიორგი კვირიკაშვილი იყო გადამდგარ პრემიერ-მინისტრებს შორის, რომელმაც ყოველ შემთხვევაში აღიარა, რომ მას ჰქონდა პრინციპული უთანხმოება მმართველ გუნდთან, ანუ ბიძინა ივანიშვილთან. მან რეალურად გვითხრა, რომ მას კი არ უნდა გადადგომა, მაგრამ გუნდს უნდა და ამიტომ უნდა გადადგეს. რამდენად სიმართლეს შეესაბამებოდა ის მიზეზები, რის გამოც ჰქონდა უთანხმოება, ცხადია, არავის აუხსნია, მაგრამ ყოველ შემთხვევაში აღიარა, რომ მისი მუშაობით უკმაყოფილება იყო.

მაგრამ, როგორც მამუკა ბახტაძის შემთხვევაში, ისე მანამდე, ღარიბაშვილის შემთხვევაში, არავის უღიარებია, რომ პრემიერს ვინმე რამეში არ ეთანხმება, მაგრამ ამის მიუხედავად, პრემიერ-მინისტრი მიდის.

ჩემი აზრით, ეს არის საზოგადოების მიმართ აგდებული დამოკიდებულება, როდესაც ღირსადაც არ თვლიან საზოგადოებას, აუხსნან, რატომ გადადგა პრემიერ-მინისტრი, რომელიც კონსტიტუციის მიხედვით ყველაზე მაღალი თანამდებობის პირია. რაღაცნაირად გულისხმობდნენ, რომ ვინმემ შეიძლება დაიჯეროს ის, რასაც ლაპარაკობდა თუ წერდა მამუკა ბახტაძე.

***– ეს არ აჩენს კითხვის ნიშნებს ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებით, რომელიც ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს ხალხის წინაშე?***

– რა თქმა უნდა, მათ აქვთ ანგარიშვალდებულება, რომ საზოგადოებას აუხსნან, რატომ შეიცვალა პრემიერ-მინისტრი. ეს ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა და ახსნილი უნდა იყოს.

პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში ეს მთავრობის შეცვლასაც ნიშნავს. ტერეზა მეის შემთხვევაში ის შეცვალა ბორის ჯონსონმა. ცხადი იყო, რომ იმავე პარტიის ფარგლებში მოხდა ცვლილება – კონსერვატიული პარტიის, მაგრამ ყველასათვის ცხადი იყო, რომ აქ იყო პრინციპული უთანხმოება თვითონ პარტიის შიგნით და „ბრექსითის“ გამო. ტერეზა მეიმ ამოწურა თავისი თავი, ვერ გაიტანა თავისი და დაუთმო სხვას, ეს სხვა აღმოჩნდა ბორის ჯონსონი, რომლის არჩევას პარტიის მიერ საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა.

ამ შემთხვევაში კი ყველასთვის ცხადია, რომ ბიძინა ივანიშვილს თავში რაღაც გადაუტრიალდა, რაღაც ასე ჩათვალა საჭიროდ. ეს არის ერთადერთი მიზეზი, მაგრამ არავინ არ ხსნის, სინამდვილეში რა მოხდა. ან ახსნას საჭიროდაც კი არ თვლიან.

***– მამუკა ბახტაძემ საკმაოდ ნიშანდობლივი ფრაზა თქვა, როცა ახსენა, რომ ვერასდროს წარმოიდგენდა იმას, რომ ოდესმე პოლიტიკაში მოვიდოდა. ეს იმის აღიარება იყო, რომ არც მისი მოსვლა ყოფილა ბახტაძის გადაწყვეტილება და არც წასვლა?***

– რა თქმა უნდა, შეიძლება ითქვას, რომ ასეც არის. პრაქტიკულად პოლიტიკაში ის არც მოსულა. ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკოსები არ სჭირდება, მას სჭირდება მენეჯერები. მამუკა ბახტაძე იყო მენეჯერი. ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების დროს ის იყო საშუალო რანგის მენეჯერი, მერე ცოტა აიწია და თანამდებობით უფრო მაღალი რანგის მენეჯერი გახდა.

პრემიერ-მინისტრი წესით უნდა იყოს პოლიტიკური თანამდებობა, მაგრამ რეალურად ბიძინა ივანიშვილისთვის ის არის უბრალოდ მენეჯერი, თუმცა ვიმეორებ, ის უნდა იყოს პოლიტიკოსი. მამუკა ბახტაძეს არავინ არც კი განიხილავდა პოლიტიკოსად.

***– ახსენეთ ღარიბაშვილი, რომელზეც საუბარია, რომ შს მინისტრად დაბრუნდება, ხოლო ახალი პრემიერი შესაძლოა გახარია გახდეს. როგორ წარმოგიდგენიათ ეს და რეალურად რას მოუტანს ხელისუფლებას?***

– არ ვიცი, ასე რომ, ამის ანალიზი ამ ეტაპზე ნაადრევია. ყოველ შემთხვევაში, ისე ჩანს, რომ თუ ეს მოხდება, ბიძინა ივანიშვილს იმის ხაზგასმა უნდა, რომ ის საზოგადოების დიდი ნაწილის აზრს ანგარიშს საერთოდ არ უწევს, მაგრამ, სამაგიეროდ, მისთვის მნიშვნელოვანია ე.წ. ბაზა. ანუ ყველაზე აგრესიული მხარდამჭერები „ქართული ოცნებისა“, რომლებიც სინამდვილეში არიან ნაციონალური მოძრაობის ყველაზე აგრესიული მოწინააღმდეგეები და ამიტომ უჭერენ მხარს „ქართულ ოცნებას“. მათთვის არის ეს განსაკუთრებულად სასიხარულო და მისაღები. იმიტომ, რომ ისინი უჭერენ აგრესიულ პოლიტიკას ოპოზიციის მიმართ.

ისინი ყველა სახის ოპოზიციას, კრიტიკულად განწყობილ ადამიანებს თუ კრიტიკულ მედიას ეძახიან ნაციონალურ მოძრაობას. რეალურად ეს იგულისხმება არა მხოლოდ ერთი ოპოზიციური პარტიის, არამედ მთლიანად ოპოზიციის და ოპოზიციურად განწყობილი ადამიანების მიმართ.

მხედველობაში მაქვს ის, რომ მათ მიმართ გატარდება მკაცრი პოლიტიკა. ეს მოლოდინი იქნება, თუ გახარია-ღარიბაშვილის ვარიანტი იქნება დადასტურებული.

# არჩილ თალაკვაძე: „ბიძინა გეგიძემ იცოდა, რომ უმრავლესობიდან გავრიცხეთ“

პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძის განცხადებით, უმრავლესობიდან გარიცხვასთან დაკავშირებით, დეპუტატი ბიძინა გეგიძე ინფორმირებული იყო.

არჩილ თალაკვაძის თქმით, აღნიშნულ საკითხზე გეგიძესთან და მისი ფრაქციის წევრებთან კონსულტაციებს უმრავლესობის წარმომადგენლები



მართავდნენ, ხოლო უკვე გარიცხვის შემდეგ, ბიძინა გეგიძეს პარტიის პოზიცია ელექტრონული ფოსტით გადაეგზავნა.

პარლამენტის თავმჯდომარე გარიცხვის მიზეზსაც განმარტავს და აცხადებს, რომ ამის მიზეზი ფუნდამენტურ საკითხებზე გეგიძისა და „ქართული ოცნების“ პოზიციების სხვაობაა.

– ბიძინა გეგიძესთან და მის ფრაქციასთან უმრავლესობას ჰქონდა კონსულტაციები, შესაბამისად, მომზადდა ასეთი გადაწყვეტილება. პარტიისა და გუნდის წევრებს აერთიანებთ შეთანხმება საერთო, სტრატეგიულ საკითხებზე, თუმცა, როგორც ეს საჯარო განცხადებებიდან გამოიკვეთა, ასეთ საკითხებზე ბიძინა გეგიძის და „ქართული ოცნების“ პოზიციები იყო განსხვავებული, – განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

ბიძინა გეგიძე საპარლამენტო უმრავლესობიდან 1 სექტემბერს გარიცხეს. გეგიძისათვის უმრავლესობის დატოვების თაობაზე გადაწყვეტილება მმართველმა უმრავლესობამ 1 სექტემბრის სხდომაზე მიიღო.




თავად ბიძინა გეგიძე აცხადებს, რომ „ქართული ოცნებიდან“ გარიცხვის შესახებ შეტყობინება ვოტსაფში მიიღო.



**შევიძენ**

**ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.**

**ტელ.: 598-43-98-57**

# რომან გოცირიძე: „ბახტაძემ დაასამარა „ქართული ოცნება“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე რომან გოცირიძე პასუხობს.**



***– ბატონო რომან, პრემიერ-მინისტრმა ფეისბუქის საშუალებით შეატყობინა საზოგადოებას მისი გადადგომის შესახებ. როგორ შეაფასებთ ამ ფაქტს?***

– ყველაფერი, რასაც ივანიშვილი აკეთებს – დაჭერები, პოლიტიკური დევნა, რუსთავი 2-ის დახურვა, ბახტაძის მოხსნა და გახარიას დანიშვნა და კიდევ რასაც მომავალში დააპირებს, მიმართულია ერთადერთი მიზნისკენ – შეინარჩუნოს ძალაუფლება ნებისმიერი ხერხებით.

არ გამოუვა! ამ ხელისუფლებისადმი ნდობა ნულამდეა დასული და მისი დღეები დათვლილია. ივანიშვილს ადარდებს მხოლოდ საკუთარი ძალაუფლება და არა – ქვეყნის მომავალი. ის რა გზასაც დაადგა, არ მოუტანს სიკეთეს არც ქვეყანას და არც პირადად მას. ის ქვეყნის სტაბილურობას უქმნის საფრთხეს. ის სახიფათო და თავხედურ ნაბიჯებს დგამს და ჩვენ ეს უნდა შევაჩეროთ. ამ ორთვიანი რეპრესიების შემდეგ მან ცინიკური გადაწყვეტილება მიიღო და გახარიას გვინიშნავს პრემიერად.

***– უფრო მკაცრი ხელი სჭირდება მთავრობაში?***

– ასე გამოდის, რომ რეპრესიებს გააგრძელებს. ნაცვლად იმისა, რომ გახარია გაეთავისუფლებინათ, ამას ითხოვდა მთელი საზოგადოება, ორი თვე მიმდინარეობს აქციები უწყვეტ რეჟიმში და ეს არ გაჩერდება და უფრო ფართო სახეს მიიღებს მალე. არაფერს ანგარიში არ გაუწია ივანიშვილმა.

ეს იმას ნიშნავს, რომ ივანიშვილს გახარია სჭირდება არჩევნების გასაყალბებლად. მას ეს კარგად გამოსდის. წინასაარჩევნოდ ისეთი ადამიანები სჭირდება, რომლებიც ყველაფერზე არიან წამსვლელები. ეს კი დიდ საფრთხეს უქმნის ქვეყანას. მათი მიზანია როგორმე მიღოლდნენ არჩევნებამდე და მერე არჩევნები გააყალბონ. ეს არ გამოუვათ! ხალხი არჩევნების გაყალბებას აღარ აპატიებს.

***– ბახტაძე აცხადებს, ჩემი მისია შევასრულე და გადავდექიო. „ოცნებაში“ კი გამომრიცხავი განცხადებები კეთდება მის წასვლაზე. რას იტყვით თქვენ?***

– „განვითარების სტრატეგიული ჩარჩო შექმნილია, დანერგილია და, შესაბამისად, მივიღე გადაწყვეტილება თანამდებობის დატოვების შესახებ, რადგან ვთვლი, რომ ჩემი მისია ამ ეტაპისთვის შევასრულე“ – წერს აწ უკვე ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბახტაძე. ანუ რა გამოდის? 6 წელიწადი „უჩარჩოოდ“ და უსტრატეგიოდ მოქმედებდა ხელისუფლება და მე „დავულაგე“ ყველაფერიო. ვერ ხვდება, რომ დაასამარა „ქართული ოცნება“.

არადა ზვიად ძიძიგურმა საპირისპირო რამ განაცხადა, სიღარიბის დაძლევის ტემპი არ მოგვეწონდა და მოუწია გადადგომაო.

***– ანუ ცუდი მუშაობის გამო გაუშვეს?***

– ასე გამოდის, ცუდი მუშაობის გამო გაუშვიათ. მამუკა ბახტაძეს როგორც მოსვლას არავინ ეკითხებოდა, ისე წასვლა არავის უკითხავს. ბუნებრივია, რომ მან ფაქტობრივად შეასრულა ის დავალება, რაც მას ბიძინა ივანიშვილმა მისცა. ამ დავალების შედეგი ჩვენ ვნახეთ – გაჩერებული ანაკლია, შემოღებული უაზრო რეგულაციები, რეპრესიები საფინასო სექტორში.

ერთადერთი სწორი შეფასება მისცა ზვიად ძიძიგურმა, რომელსაც წამოცდა, აბა ამას სხვა რა ვუწოდოთ. მან თქვა, რომ ქვეყანაში არაფერი გაკეთებულა სიღარიბის დასაძლევად და ამიტომ პრემიერი მიდის.

***– აქამდე რატომ ვერ შეთანხმდნენ, ვინ შეცვლის ბახტაძეს?***

– არა, ყველაფერი უკვე გადაწყვეტილი და შეთანხმებულია. ყველაფერი ნათელია და ივანიშვილის გეგმის მიხედვით მიდის. მათ სპეციალურად გააჟღერეს ერთი კვირით ადრე, რომ გახარია იქნებოდა პრემიერ-მინისტრი, მათ დატესტეს სიტუაცია, რადგან იცოდნენ, რომ საზოგადოებისთვის ეს იქნებოდა შოკი, ამიტომ ნელ-ნელა შემოაპარეს.

შემდეგ სამშაბათს დაამტკიცებენ, მე ვიტყოდი, გავრილოვის მთავრობას! ეს მთავრობა ისტორიაში სწორედ ასე შევა, როგორც გავრილოვის მთავრობა.

***– არის მოლოდინი, რომ პარლამენტმა ჩააგდოს ახალი მთავრობის დამტკიცება. თქვენ რა მოლოდინი გაქვთ?***

– ამ ჭორებსაც მთავრობა ავრცელებს სპეციალურად, რომ არის ასეთი ულტიმატუმი – ან გახარია, ან პროპორციულ სისტემაზე უარის თქმა და კვლავ მაჟორიტარული წესით ვადაზე ადრე არჩევნების ჩატარება. ხალხს რომ ათქმევინონ, ჯანდაბას გახარია, ოღონდ პროპორციული წესით ჩატარდეს 2020 წლის არჩევნები.

აი, ეს არის მათი სატყუარა და მათ მიერვე გავრცელებული ხმები. სინამდვილეში წარმოადგენენ გახარიას და დაამტკიცებენ გახარიას.

***– სხვა მინისტრების ცვლილებას თუ ელოდებით?***

– რამდენიმე პაიკი შეიცვლება, თუმცა ამას არ აქვს დიდი მნიშვნელობა, ფაქტია, რომ რაც რუსეთმა დაავალა, ყველაფერი შეასრულეს ამ გავრილოვის ღამის მერე.

# ნუგზარ თინიკაშვილი: „ჩორჩანაში ბლოკპოსტის გახსნა სწორი გადაწყვეტილებაა“

გულიკო ბალაძე

**ინფორმაცია ვრცელდება, რომ ხაშურის რაიონის სოფელ ჩორჩანაში განვითარებული მოვლენების შემდეგ, ცხინვალის რეჟიმმა შეიძლება ახალგორის გზა ჩაკეტოს. „ახალი თაობა“ ახალგორის გამგებელ ნუგზარ თინიკაშვილს დაუკავშირდა.**

***– ბატონო ნუგზარ, ვრცელდება ინფორმაცია, რომ შეიძლება რუსებმა და სეპარატისტებმა ახალგორში შესასვლელი გზა ჩაკეტონ. თქვენ თუ გაქვთ ინფორმაცია ამის შესახებ?***

– ამის თაობაზე ინფორმაცია მოსახლეობამ მოგვაწოდა. ცნობილია, რომ ახალგორის გზის ჩაკეტვას აპირებენ, მაგრამ რამდენი ხნით ჩაკეტავენ, არ ვიცი.

***– საერთოდ, გზას რამდენი ხნით კეტავენ ხოლმე?***

– ხან ერთი დღით კეტავენ, ამ ზამთარს ორი თვითაც ჩაკეტეს. ვერ გაიგებ, რაიონი სეპარატისტებისა და ოკუპანტების ხელშია. რას გააკეთებენ, არავინ იცის.

***– როგორი ვითარებაა ახალგორის რაიონში?***

– ახალგორში დაახლოებით 1.200-მდე ადამიანი ცხოვრობს. აქედან უმრავლესობა ისევ ქართველები არიან. მაგრამ ცოტა შეშფოთება და პანიკა შეინიშნება. მოსახლეობის ნაწილი გამოდის, ზოგი, აქ ვინც არის, იქ მიდის. ძალიან გაუგებარი სიტუაციაა. თუმცა, ვფიქრობ, უფრო გადაჭარბებულია. არა მგონია, დიდი ხნით ჩაკეტონ.

***– ინფორმაცია არის, რომ შეიძლება გზა დიდი ხნით ჩაკეტონ?***

– ინფორმაცია გაავრცელეს, რომ გზას დიდი ხნით ჩაკეტავენ, მაგრამ მე არა მგონია, ასე იყოს.

***– რატომ გგონიათ ასე?***

– იმიტომ, რომ თვითონვე არ აწყობთ.

***– თვითონ რატომ არ აწყობთ?***

– იმიტომ, რომ მშივრები დარჩებიან. აქედან შედის სურსათი, სოფლის მეურნეობის პროდუქცია, ყველაფერი. რატომ უნდა აწყობდეთ?!

***– ანუ შეშფოთება იმიტომ შეინიშნება, შეიძლება გზა ჩაიკეტოს და პროდუქტი ვერ შევიდეს?***

– რა თქმა უნდა, შეიძლება სამედიცინო მომსახურება, პროდუქტი და მედიკამენტი დასჭირდეს. ყველაფერი შეშფოთების საფუძველია. მე მაინც მგონია, რომ მუდმივად არ ჩაკეტავენ, როგორც გაავრცელეს ინფორმაცია.

***– გზის ჩაკეტვა ჩორჩანაში განვითარებულ მოვლენებზე საპასუხო რეაქციაა?***

– ვერ გეტყვით. ეგ ისეთი თემაა. არ გამოვრიცხავ.

***– ქართველები ახალგორში შედიან, იქ რჩებიან და ცხოვრობენ თუ უბრალოდ, იქ ვინც ცხოვრობს, ის მოძრაობს?***

– იქ 1.200-მდე ადამიანი ცხოვრობს. ისინი პერიოდულად გადადიან-გადმოდიან. გარდა მაგისა, წეროვანში, წილკანსა და ფრეზეთში მცხოვრები ახალგორელი დევნილების დაახლოებით 70%, 5 ათასი ადამიანი ფლობს ე.წ. პროპუსკს და პერიოდულად გადადის და გადმოდის.



***– სეპარატისტების ე.წ. ძალოვანების და რუსი ჯარისკაცების მხრიდან რაიმე რეაქციები ხომ არ არის ქართველების მიმართ ახალგორში და ამის ხომ არ ეშინიათ?***

– არა, მსგავსი არაფერია. ისინი აგრესიას არ იჩენენ. რუსი ე.წ. მესაზღვრეები მოსახლეობასთან კონტაქტში ნაკლებად შედიან და ე.წ. პირობით საზღვრებს აკონტროლებენ. მათი მხრიდან აგრესიის ფაქტი არ ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, ასეთი ინფორმაცია არ მოდის.

***– თქვენ როგორ ახორციელებთ თქვენს უფლებამოსილებას? იქ მცხოვრებ ადამიანებთან კავშირი გაქვთ? 1.200 ოჯახი ცხოვრობს თუ 1.200 ადამიანი?***

– 1.200 ადამიანი ცხოვრობს, რომელთა შორის უმეტესობა ქართველია, ანუ ოსებიც ცხოვრობენ და ქართველებიც. ოსები აქაც არიან დევნილობაში, ჩვენთან ერთად. ჩვენ და ოსებს თანაცხოვრების არანაირი პრობლემა არც ომამდე გვქონია და არც ომის შემდეგ. ახალგორი ამ მხრივ არის სანიმუშო. ანუ ნიმუში იმისა, თუ როგორ შეიძლება კონფლიქტის დარეგულირება. ნაციონალურ ნიადაგზე ორენოვან, ორ ერს შორის არანაირი პრობლემა არ არსებობს.

პრობლემა შექმნილია რუსეთისაგან, რომელმაც თავისი სურვილი აისრულა წინა ხელისუფლების დახმარებით, როდესაც შეუქმნა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომია, ახალგორი გამოიყვანა მცხეთა-მთიანეთის რეგიონიდან, მიუერთა ახლად შექმნილ იმ რაღაც მახინჯ წარმონაქმნს, რომელსაც „სამხრეთ ოსეთი“ ეწოდება. ეს არის მთელი უბედურების სათავე.

***– 2008 წლამდე ახალგორს ჩვენ ვაკონტროლებდით და მცხეთა-მთიანეთის რეგიონში შედიოდა?***

– დიახ. 2007 წლის 10 მაისს, მაშინდელი ხელისუფლების მიერ შეიქმნა „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური რესპუბლიკა. ახალგორი ისე გამოიყვანეს მცხეთა-მთიანეთის შემადგენლობიდან და ისე მიაკუთვნეს ე.წ. სამხრეთ ოსეთს, რომ აზრი ერთი ადამიანისთვისაც არ უკითხავთ. ასე გადასცეს ახალგორი საჩუქრად რუსებსა და ოსებს.

***– თქვენი შეფასებით ჩორჩანაში რა ხდება?***

– ჩორჩანაში ხდება ის, რომ ეს არის საქართველოს ტერიტორია (ე.წ. სამხრეთ ოსეთიც საქართველოა, მაგრამ, ჯერჯერობით, ვერ ვაკონტროლებთ), რომელსაც ჩვენ ვაკონტროლებთ. ჩვენს კონტროლირებად ტერიტორიაზე ჩვენი ხელისუფლება რას გააკეთებს, ის არც რუსებს ეხებათ, არც – ოსებს და არც – არავის. რაც საჭიროა, უნდა გაკეთდეს. ჩორჩანაში ბლოკპოსტის გახსნა და საპოლიციო ნაწილის განთავსება სწორი გადაწყვეტილებაა.

***– ალბათ, სხვა ადგილებშიც არის გასაკეთებელი ბლოკპოსტები.***

– ეგ ხელისუფლების გადასაწყვეტია. მათ ყველაზე უკეთ იციან, სად რა გააკეთონ და როგორ მოიქცნენ.

***– რუსულ-ოსური საოკუპაციო რეჟიმი რომ მოიხსნას, როგორ ფიქრობთ, ქართველები და ოსები ერთად მშვიდობიანად ცხოვრებას შეძლებენ?***

– რა თქმა უნდა, შეძლებენ, აქ ორი აზრი არ არის. ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები ჩვენთან ძალიან ხშირად მოდიან, როცა მათთან შეხვედრები გვაქვს, ვეუბნებით, უზრუნველყავით რუსული ჯარების გაყვანა ახალგორის ტერიტორიიდან. მთელი მსოფლიოს მასშტაბით ყველა ნახავს, როგორ შეგვიძლია ჩვენ თანაცხოვრება, მეგობრობა, ნათესაობა, როგორც ადრე ვიყავით. არც 90-იან წლებში და არც 2008 წელს ახალგორში სერიოზული დაპირისპირება, მით უფრო სისხლისღვრა, არ ყოფილა.

იმედი მაქვს, არც იქნება. რუსული ჯარის გასვლის შემთხვევაში, იმავე დღეს ჩვენი მუნიციპალიტეტი ახალგორში დაბრუნდება. ჩვენ ყველა სამსახური შენარჩუნებული გვაქვს.

# ცხინვალი: „რუსეთი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიას დაიცავს ისე, როგორც თავისას“

## საოკუპაციო რეჟიმი სიტუაციის დაძაბვაში აშშ-ს ადანაშაულებს

მარიამ მჭედლიშვილი

**ჩორჩანაში გამართული შეხვედრის შემდეგ ცხინვალის ადმინისტრაცია დროს არ კარგავს. აქტივობა შეინიშნება როგორც მოსკოვში, ისე ცხინვალში. ცხინვალის მედიის ცნობით, იმართება შეხვედრები დიპლომატიურ კორპუსთან.**

ასევე კეთდება შეფასებები ცხინვალში. ერთი მხრივ, საოკუპაციო რეჟიმი ხალხს აწყნარებს, მეორე მხრივ, აშინებს.

ქართულ და ოსურ მხარეებს შორის 30 აგვისტოს გამართული მოლაპარაკებები უთანხმოებით დამთავრდა. ერთადერთი, რაზეც მოლაპარაკებების მონაწილეები შეთანხმდნენ, დიალოგის გაგრძელებაა. ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმი კვლავინდებურად მოითხოვს წნელისთან განთავსებული ქართული ბლოკსაგუშაგოს აღებას, თბილისი კი ამას არ აპირებს.



ოპონენტები განაგრძობენ „ქართული ოცნების“ კრიტიკას კონფლიქტური რეგიონების მიმართ გამოჩენილი უსუსურობისა და პრორუსული პოლიტიკისათვის.

ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმის მტკიცებით, ბოლოდროინდელი პროვოკაციული მოქმედებები საოკუპაციო ხაზთან აშშ-ის მიზნებს ემსახურება.

ცხინვალის რეგიონის დეფაქტო პრეზიდენტთან არსებული საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრის ხელმძღვანელის, იური ვაზაგოვის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლებამ ცხინვალის მიმართ პოლიტიკა შეცვალა, რაც ამერიკულ ინტერესს შეესაბამება.

მისი თქმით, ბოლო წლებში გამყოფ ხაზთან (მისი ტერმინით, „საქართველო-ოსეთის საზღვარზე“) ქართველი ნაციონალისტები რეგულარულად აწყობდნენ პროვოკაციებს. ის, რაც წნელისთან (მისი სიტყვებით, „ოსურ სოფელ უისტასთან“) მიმდინარეობს, რადიკალურად განსხვავდება წინა მოვლენებისაგან. ამჯერად ეს არის არა ეგზალტირებული „გირჩის“, ან „ძალა ერთობაშია“-ს აქციები, არამედ საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების მიერ წინასწარ დაგეგმილი ოპერაცია. ეს არის შეიარაღებული შეჭრა „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე.

საოკუპაციო რეჟიმის ანალიტიკური სამსახურის უფროსი „ამჟამინდელ პროვოკაციას“ შორსგამიზნულს უწოდებს.

– საქართველოს ხელისუფლების მოქმედებები ნიშნავს სამხრეთ ოსეთის მიმართ რბილი ძალის პოლიტიკიდან გადასვლას ძალისმიერი ზეწოლის ახალ ფაზაზე. ოსური მოსახლეობის მიზიდვა ჰუმანიტარულ და სოციალურ პროექტებში უშედეგოდ დამთავრდა. საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკის ცვლილება განპირობებულია აშშ-ის გავლენით. ამერიკისათვის ხელსაყრელია დაძაბულობის მორიგი კერის შექმნა რუსეთის გავლენის ტერიტორიაზე, – ამბობს ვაზაგოვი.

რუსეთიდან მართული საოკუპაციო რეჟიმი ასეთ განცხადებას რუსეთთან შეუთანხმებლად არ გააკეთებდა. როგორც ჩანს, კრემლი საერთაშორისო საზოგადოებას მუქარებს უგზავნის.

ამაზე ვაზაგოვის სხვა ფრაზები მეტყველებს:

– ინციდენტს სამხრეთ ოსეთის საზღვარზე და ანტირუსულ მიტინგებს თბილისში ერთი დამკვეთი ჰყავთ – აშშ. ამერიკა იყენებს რადიკალურ წრეებს, რათა საქართველოს ხელისუფლება, რომელიც ერიდებოდა სიტუაციის გამწვავებას, შეიყვანოს საჭირო კალაპოტში.

საქართველო ჩაეწერა რუსეთის შეკავების სტრატეგიაში. მასში სამხედროს გარდა, შედის საინფორმაციო და პოლიტიკური ასპექტები. ამიტომ, დიდია საქართველოს მხრიდან ახალი გამოხდომებისა და პროვოკაციების ალბათობა.

2008 წელთან შედარებით სამხრეთ ოსეთი ახალ მდგომარეობაში იმყოფება. გვაქვს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში რუსეთთან შეთანხმებების კომპლექსი. რუსეთმა აიღო ვალდებულება, რომ სამხრეთ ოსეთს, როგორც თავის ტერიტორიას, ისე დაიცავს.

ვაზაგოვი საზოგადოებას იმით ამშვიდებს, რომ საქართველო სერიოზულ პროვოკაციას ვერ მოაწყობს. მისი თქმით, თბილისი საზღვარზე ინციდენტებით მოახდენს ფსიქოლოგიურ ზეწოლას რეგიონზე.

რა აბსურდულიც არ უნდა იყოს ცხინვალელი ანალიტიკოსების დასკვნები, ფაქტია, რომ კონფლიქტის მიმდებარედ ვითარება ჯერ არ განმუხტულა, გეოპოლიტიკური დაპირისპირება კი დიდი ხანია, არსებობს.

# მამუკა ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე: „პროკურატურა დიპლომატებს ჩვენ საქმეს წარუდგენს“



პროკურატურა ცდილობს ამ პოლიტიზირებულ საქმეზე, რომელსაც არ გააჩნია არანაირი სამართლებრივი საფუძველი, გადაწყვეტილების პასუხისმგებლობა გადაიტანოს დიპლომატიურ კორპუსზე.

ამის შესახებ ნათქვამია მამუკა ხაზარაძის და ბადრი ჯაფარიძის მიერ გუშინ, 2 სექტემბერს, გავრცელებულ განცხადებაში.

მათივე ინფორმაციით, 6 სექტემბერს, გენერალურმა პროკურატურამ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები დახურულ შეხვედრაზე მიიწვია, სადაც პროკურატურის მიერ დაქირავებული ორი უცხოელი ექსპერტის მომზადებული დასკვნის წარდგენაა დაგეგმილი.

– შეხვედრაზე დაგეგმილია პროკურატურის მიერ დაქირავებული ორი უცხოელი ექსპერტის მომზადებული დასკვნის წარდგენა ხაზარაძე-ჯაფარიძის საქმესთან დაკავშირებით.

გვსურს შევახსენოთ პროკურატურას, რომ საქართველოს კონსტიტუციით, ასევე ნებისმიერ სამართლებრივ სახელმწიფოში დადგენილი წესის თანახმად, ერთადერთი ლეგიტიმური სივრცე, სადაც ბრალდების ორგანომ – პროკურატურამ უნდა წარადგინოს მტკიცებულებები და გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დაამტკიცოს პირის დამნაშავეობა, არის მხოლოდ და მხოლოდ სასამართლო პროცესი, – ნათქვამია განცხადებაში.

მამუკა ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე მიიჩნევენ, რომ ამგვარი შეხვედრით პროკურატურა ცდილობს ამ პოლიტიზირებულ საქმეზე, რომელსაც არ გააჩნია არანაირი სამართლებრივი საფუძველი, გადაწყვეტილების პასუხისმგებლობა გადაიტანოს დიპლომატიურ კორპუსზე.

– ჩვენ მოვითხოვთ საქმის გამჭვირვალედ წარმართვას, საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით გარანტირებული ყველა სტანდარტის დაცვით.

თუ ხელისუფლებას აქვს სურვილი აღნიშნულ საქმეზე ჩართოს საერთაშორისო ექსპერტები, მივიჩნევთ, რომ ეს ექსპერტები უნდა იყვნენ არა პროკურატურის მიერ დაქირავებული იურისტები, მათი კვალიფიკაციის მიუხედავად, არამედ მისგან დამოუკიდებელი საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე იურისტები, რომლებსაც მიეწოდებათ საქმის შესახებ სრული და ყოველმხრივი ინფორმაცია და ექნებათ შესაძლებლობა დამოუკიდებლად ჩამოიყალიბონ აზრი მიმდინარე საქმეზე, – ნათქვამია განცხადებაში.

გენერალურმა პროკურატურამ მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის განცხადებას გუშინვე უპასუხა.

როგორც პროკურატურის განცხადებაშია აღნიშნული, სისხლის სამართლის საქმეში, რომელიც ხაზარაძისა და ჯაფარიძის წინააღმდეგ წარმოებს, უცხოელი ექსპერტები ჩართულები არიან და მათ დასკვნას საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები აუცილებლად გაეცნობიან.

– საქართველოს გენერალურ პროკურატურას, საქმისადმი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, კიდევ ერთხელ უწევს პასუხი გასცეს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში ბრალდებული პირების, მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის მიერ გავრცელებულ არასწორ განცხადებას.

საქართველოს პროკურატურამ კანონით დადგენილი პროცედურებით გამოხატა ბრალდების მხარის პოზიცია, როდესაც მიიღო შემაჯამებელი გადაწყვეტილება და დაიწყო სისხლის სამართლის დევნა ბრალდებულთა მიმართ.

გამოძიება საწყისი ეტაპიდანვე მიმდინარეობს ღიად და გამჭვირვალედ. პროკურატურა ამ საქმეზე საზოგადოებასთან აქტიურ კომუნიკაციაშია და მუდმივად ახდენს დაინტერესებულ პირთა ინფორმირებას. ამასთან, დაცვის მხარეს ნებისმიერ დროს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს მოპოვებულ მტკიცებულებებს და ჩაატაროს შემხვედრი მოქმედებები.

აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეში, ბრალდების მხარის ინიციატივით, უკვე ჩართულები არიან უცხოელი, უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე ექსპერტები.

რაც შეეხება ბრალდებულთა მხრიდან გავრცელებულ ინფორმაციას 6 სექტემბერს დაგეგმილ ე.წ. დახურულ შეხვედრასთან დაკავშირებით, განვმარტავთ, რომ აღნიშნულ დროს არანაირი შეხვედრა არ იგეგმება, თუმცა უმაღლესი კვალიფიკაციის უცხოელი ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნას აუცილებლად გაეცნობიან საერთაშორისო ორგანიზაციები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები.

აქვე დავძენთ, რომ აბსოლუტურად არაადეკვატური და მიუღებელია პრეზუმფციული ხასიათის ეჭვის შეტანა საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე იურისტების მიუკერძოებლობაში, მხოლოდ და მხოლოდ იმ საბაბით, რომ მათ საექსპერტო დასკვნის მომზადება საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ შესთავაზა.

ბრალდებულთა მხრიდან ექსპერტების საქმიანობის და პროცესში საერთაშორისო თანამეგობრობის წარმომადგენელთა ჩართულობის მიმართ ეჭვების დაფიქსირება მათი მხრიდან პრევენციულ ხასიათს ატარებს და მიზნად ისახავს წინმსწრებად დასკვნის დისკრედიტაციას.

ობიექტურობის და ადამიანის უფლებების დაცვის უმაღლესი სტანდარტის მაჩვენებელია ის გარემოებაც, რომ საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ, ბრალდებულთა ინტერესების გათვალისწინებით, უარი თქვა საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენებაზე, როდესაც მსგავსი შინაარსის საქმეებში მხილებული პირები სასამართლოს განაჩენს წინასწარ პატიმრობაში ხვდებიან.

ამის ნაცვლად, მამუკა ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე სასამართლოს გადაწყვეტილებას დაელოდებიან არასაპატიმრო აღმკვეთი ღონისძიების პირობებში და არც მათი გადაადგილებაა შეზღუდული, მათ შორის, არც საზღვარგარეთის ქვეყნებში შესაბამისი თანხმობის შემთხვევაში.

საქართველოში სამართლებრივი პროცედურები მიმდინარეობს უმაღლესი სტანდარტების დაცვით და შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიიღება საერთაშორისო ნორმების შესაბამისად, რასაც ცალსახად ადასტურებს ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებები.

ბრალდებულთა მხრიდან ნებისმიერი მსგავსი მცდელობის მიუხედავად, საქმეზე გამოძიება გაგრძელდება ობიექტურად, გამჭვირვალედ და საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

## 85 წლის ომარ გამყრელიძეს ოპერაცია გაუკეთეს




გუშინ, 2 სექტემბერს, ყანდაურაში მომხდარ მკვლელობაზე, თელავის რაიონულ სასამართლოში, 85 წლის ომარ გამყრელიძის და მისი შვილიშვილის გაერთიანებული საქმის არსებითი განხილვა გაიმართა.

სხდომაზე ბრალდების მხარის მოწმეები დაიკითხნენ, მათ შორის საქმის გამომძიებლები.

მანამდე კი დაცვის მხარემ აღმკვეთი ღონისძიების შეცვლა მოითხოვა. ადვოკატმა გილერ ენდელაძემ მოსამართლეს 85 წლის ომარ გამყრელიძის და მისი შვილიშვილის გათავისუფლების შუამდგომლობით მიმართა, რასაც ბრალდების მხარე არ დაეთანხმა.

დაკავებულების უფლებადამცველის თქმით, 85 წლის ომარ გამყრელიძე და მისი შვილიშვილი გათავისუფლების შემთხვევაში საფრთხეს არ წარმოადგენენ.

მოსამართლე მამუკა წიკლაურმა შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

სასამართლო სხდომას ესწრებოდა მხოლოდ უმცროსი ომარ გამყრელიძე, 85 წლის ომარ გამყრელიძემ კი ავადმყოფობის გამო სასამართლოზე დასწრება ვერ შეძლო.

როგორც ადვოკატმა განაცხადა, ომარ გამყრელიძეს ქირურგიული ოპერაცია ჩაუტარდა.

შეგახსენებთ, რომ 4 ადამიანი სოფელ ყანდაურაში 3 მაისს მოკლეს. 85 წლის ომარ გამყრელიძეს მკვლელობაში დახმარებას, ხოლო მის შვილიშვილს საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვას ედავებიან.

## ქურდობისთვის წარსულში ნასამართლევი პირი დააკავეს



საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა წარსულში ნასამართლევი, 1969 წელს დაბადებული ვ. ბ. ქურდობის მცდელობის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

როგორც ინტერპრესნიუსს შსს-ს პრესსამსახურიდან აცნობეს, 112-ში შევიდა შეტყობინება, რომ თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე, ერთ-ერთი მოქალაქის საცხოვრებელ ბინაში უცხო პირი შესვლას ცდილობდა. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა შეტყობინებაზე მყისიერად მოახდინეს რეაგირება და ვ.ბ. შემთხვევის ადგილიდან ახლოს, რამდენიმე წუთში მაშინ დააკავეს, როდესაც იგი მიმალვას ცდილობდა.

გამოძიება ქურდობის მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს, სისხლის სამართლის კოდექსის 19-177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.

## რუსეთში ქართველი კანონიერი ქურდი დააკავეს



ქართველ ე.წ. კანონიერ ქურდს ირაკლი ჯაბუას, იგივე ირაკლი როსტოვსკის, 15 წლით თავისუფლების აღკვეთა და 5 მლნ რუბლის ოდენობით ჯარიმა ემუქრება.

რუსი სამართალდამცველები ჯაბუას „დანაშაულებრივ იერარქიაში უმაღლესი თანამდებობის“ დაკავებას ედავებიან.

ადრე ირაკლი ჯაბუას ბრალად ყაჩაღობა და თაღლითობა ედებოდა.

ბოლო დროს ის უცხო ქვეყნის მოქალაქეთა დროებითი განთავსების ცენტრში იმყოფებოდა.

## მდინარე ალაზანმა, სავარაუდოდ, ადამიანის ძვლები გამორიყა



გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდინარე ალაზანმა ძვლები გამორიყა, რომელიც სავარაუდოდ ადამიანისაა.

გამოძიება საქმეზე სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო. ეკუთვნის თუ არა ნაწილები ადამიანს, ამას ექსპერტიზა დაადგენს.

ძვლები ერთ-ერთმა ადგილობრივმა 1 სექტემბერს ნახა.


## სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა

თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**


## ზუგდიდში ჭაში კანალიზაციის წყალი მოხვდა

### რამდენიმე ადამიანი მოიწამლა



ზუგდიდში, თეთრი გიორგის ქუჩაზე მიმდინარე სამუშაოებისას კანალიზაციის მილი გასკდა და ფეკალური მასა სასმელი წყლის ჭაში ჩაიღვარა.

მოწამლულია რამდენიმე ადამიანი, მათ შორის მცირეწლოვანი ბავშვი.

ზუგდიდის ინფექციურ საავადმყოფოში აცხადებენ, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. მოზარდი გადაყვანილია ქუთაისის ბავშვთა საავადმყოფოში.

## ახალციხეში პოლიციელის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფისთვის ერთი პირი დააკავეს



30 აგვისტოს ახალციხეში პოლიციამ დაუმორჩილებლობის ფაქტზე ერთი პირი დააკავა.

შემთხვევა ახალციხეში, კოსტავას ქუჩაზე „საქართველოს ბანკთან“ მოხდა.

თვითმხილველთა თქმით, პოლიციამ ტოიოტას მარკის ავტომობილის მძღოლს გზის გათავისუფლებისკენ მოუწოდა, ტოიოტა კოროლას მძღოლი კი სამართალდამცველის მოთხოვნას არ დაემორჩილა.

ტოიოტა კოროლას მარკის ავტომობილში 5 მოქალაქე იჯდა, ერთ-ერთმა მათგანმა პოლიციას შეურაცხყოფა მიაყენა, რაც ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

ინციდენტის ადგილზე დამატებით მივიდა საპატრულო პოლიციის რამდენიმე ბრიგადა. შსს-ის ინფორმაციით, პოლიციამ ორი მოქალაქე ადგილზე დააკავა.

დაკავებულები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით დაჯარიმდნენ, რაც სამართალდამცავების მიმართ დაუმორჩილებლობას გულისხმობს.

# გერმანიის პრეზიდენტმა პოლონეთს პატიება სთხოვა



1939 წლის 1 სექტემბერს ნაცისტური გერმანიის მიერ პოლონეთზე განხორციელებული თავდასხმის შემდეგ დაიწყო კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სასტიკი, მე-2 მსოფლიო ომი, რომელიც 6 წელი გაგრძელდა.

1 სექტემბერს ვარშავაში მე-2 მსოფლიო ომის დაწყებიდან მე-80 წლისთავი აღნიშნეს. ამასთან დაკავშირებით პოლონეთში რიგი ქვეყნების ლიდერები ჩავიდნენ. მათ შორის იყვნენ აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი მაიკ პენსი, გერმანიის პრეზიდენტი ფრანც-ვალტერ შტაინმაიერი, გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი, საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, უკრაინის პრეზიდენტი ზელენსკი და სხვა.

სულ ჩასული იყო ოცამდე ქვეყნის ლიდერი. ვლადიმერ პუტინი ღონისძიებაზე არ დაპატიჟეს. პუტინს სოლიდარობა გამოუცხადეს სომხეთის სახელმწიფოს მეთაურმა პაშინიანმა და ბელორუსის პრეზიდენტმა ლუკაშენკომ. ისინი პოლონეთში არ ჩავიდნენ.

ღონისძიებები ვარშავაში იუზეფ პილსუდსკის სახელობის მოედანზე გაიმართა. გერმანიის პრეზიდენტმა შტაინმაიერმა პოლონელებს პატიება სთხოვა.

– მუხლს ვიყრი პოლონელთა გმირობის წინაშე! მათ ნაციზმთან ბრძოლაში უდიდესი წვლილი შეიტანეს! მსურს, პოლონელთა დღევანდელ თაობას 1939 წლის მოვლენების გამო პატიება ვთხოვო, – განაცხადა შტაინმაიერმა.

პოლონეთის პრეზიდენტმა ანჟეი დუდამ საზეიმო შეკრებაზე სიტყვა წარმოთქვა. მან ისაუბრა მეორე მსოფლიო ომის გამომწვევ მიზეზებზე და თანამედროვეობასთან პარალელები გაავლო. დუდამ აღნიშნა, რომ მიუნხენის სამარცხვინო შეთანხმება მიზნად ისახავდა გერმანიის, ანუ აგრესორის, დაშოშმინებას. ამან არ გაამართლა. ჰიტლერს მხოლოდ დაუსჯელობის კომპლექსი განუვითარდა. საბოლოოდ ყოველივე მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებით დასრულდა.

– ისტორია გარკვეულწილად დღესაც მეორდება, – თქვა დუდამ.

პოლონეთის პრეზიდენტი რუსეთის აგრესიულ პოლიტიკასა და მეზობლების შევიწროებაზე დაწვრილებით შეჩერდა. მან ხაზი გაუსვა, რომ ყოველივე სუვერენულ საქართველოზე შეტევით დაიწყო. რუსეთმა ქართული ტერიტორიების, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის, ოკუპაცია განახორციელა. სამწუხაროდ, დემოკრატიულმა მსოფლიომ ამაზე სათანადო რეაგირება არ მოახდინა. მოსკოვმაც მომდევნო ნაბიჯი გადადგა, რაც ყირიმის ანექსიასა და დონბასის ომის გაჩაღებაში გამოიხატა.

– მოსკოვმა უნდა იცოდეს, რომ აგრესიას სათანადო პასუხი მოჰყვება, – განაცხადა დუდამ.

# იემენში საჰაერო დარტყმას 100-მდე ადამიანი ემსხვერპლა



საუდის არაბეთის მიერ შექმნილმა კოალიციამ საჰაერო დარტყმა განახორციელა ქალაქ დამარზე, რომელსაც პარტიზანები აკონტროლებენ. პარტიზანებს მხარს უჭერს ირანი.

– განადგურებულია შენობა, სადაც დიდძალი იარაღი და უპილოტო თვითმფრინავები ინახებოდა, – ნათქვამია საუდის არაბეთის სარდლობის განცხადებაში.

საერთაშორისო წითელი ჯვარი თავის მხრივ აცხადებს, რომ დარტყმა საპატიმროზე განხორციელდა. დაიღუპა 100-მდე ადამიანი.

# აშშ-მ სირია დაბომბა




ამერიკულმა ავიაციამ სირიის ტერიტორია დაბომბა. საჰაერო დარტყმა განხორციელდა იდლიბის პროვინციაზე, სადაც ალ-ქაიდას ტერორისტული ფორმირება იყო განთავსებული.

რუსეთის თავდაცვის სამინისტროში მომხდართან დაკავშირებით განცხადება გაკეთდა. მასში ნათქვამია, რომ ამერიკელთა მოქმედება ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმს საფრთხეს უქმნის.

– დაბომბვა არ ყოფილა შეთანხმებული არც რუსეთთან, არც თურქეთთან, – ნათქვამია განცხადებაში.

# ჩეხეთის პრემიერის მიმართ გამოძიება შეწყვიტეს



ჩეხეთის გენერალურმა პროკურორმა იაროსლავ შაროხმა ქვეყნის პრემიერის, მილიარდერ ანდრეი ბაბიშის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში მიმდინარე გამოძიება შეწყვიტა.

საქმე 2008 წელს მისი ერთ-ერთი ფირმის მიერ ევროკავშირის სუბსიდიიდან 2 მილიონი ევროს უკანონოდ მიღებას ეხება.

გენერალური პროკურორის ეს გადაწყვეტილება კიდევ უნდა განიხილონ პრაღის პროკურატურაში.

ბაბიშის გარდა, ბრალი მის მეუღლეს, ქალიშვილს, ცოლისძმას და ფირმის კიდევ ორ თანამშრომელს ჰქონდათ წაყენებული. თუ პროკურატურა პრემიერს ბრალს ფინანსურ დანაშაულში ოფიციალურად წაუყენებდა, მას ათ წლამდე ციხე ემუქრებოდა.

კვირას ანდრეი ბაბიშმა ერთ-ერთი ტელევიზიის ეთერში განაცხადა, რომ თუ მას ბრალს ოფიციალურად წაუყენებენ, ეს არაფერს შეცვლის და ის პრემიერის პოსტზე დარჩება.

# ნეტანიაჰუ: „ისრაელი ნებისმიერი სცენარისთვის მზად უნდა იყოს“




ლივანის ტერიტორიიდან ისრაელის სამხედრო ბაზას რაკეტები დაუშინეს.

ისრაელის არმიამ ლივანზე საპასუხო დარტყმები განახორციელა. პრემიერმა ნეტანიაჰუმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ვითარება საგანგაშოა.

– ჩვენ ნებისმიერი სცენარისთვის მზად უნდა ვიყოთ! მათ შორის იმისთვისაც, რომ ვილაც-ვიღაცები ისრაელის წინააღმდეგ ომს დაიწყებენ, – თქვა პრემიერმა.

ნეტანიაჰუმ ხაზი გაუსვა, რომ ისრაელის პოლიტიკა მშვიდობის შენარჩუნებისკენაა მიმართული.

– თუ გსურს მშვიდობა, ემზადე ომისთვის! ჩვენც ამ პრინციპით ვხელმძღვანელობთ. აგრესორი მოუმზადებლებს ვერ წაგვასწრებს. მეტიც, ასეთი თავდასხმა მას ძვირი დაუჯდება, – განაცხადა ნეტანიაჰუმ.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# განცხადებები

## ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ფოტოსურათით მოგიხსნით აგრესიას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, თვითმკვლელობის სურვილს, შფოთიან ძილს, ალკოჰოლიზმს, აზარტული თამაშების სურვილს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აკვიატებებს, უიმედობას, ჯადო-თვალი-წყევლას. ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-49-84-23.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

● ალკოჰოლიზმის მკურნალობა მცენარეული საშუალებებით (შეგიძლიათ შეურიოთ საკვებში ფარულად) „პახმელია“, ზაპოი“, ნერვული აღგზნებულობა, ღვიძლის პრობლემები (ციროზი) და სხვა – მხოლოდ მცენარეული და ფუტკრის პროდუქტებით. ტელ: 599-45-88-66; 597-98-95-99; 557-35-22-65. სერტიფიცირებული ექიმი, ფიტოთერაპევტი ნინო. მისამართი: ჭავჭავაძის 3, აღმაშენებელზე.

## კალეიდოსკოპი

# ედ შირანმა სასიკვდილოდ დაავადებულ გოგონას ოცნება აუსრულა



ინგლისის ქალაქ პორტსმუთის მკვიდრმა გოგონამ, რომელსაც განუკურნებელი სენი ჭირს, ოცნება აისრულა და თავის კერპს შეხვდა.

სიან რიდს 2018 წელს თავის ტვინის ნეოპერაბელური სიმსივნე აღმოუჩინეს, რის შემდეგაც ქიმიოთერაპიის კურსი დაუნიშნეს. გოგონამ გადაწყვიტა გარდაცვალებამდე ასასრულებელი სურვილები შეედგინა, რომელთა შორის აღმოჩნდა თავისი საყვარელი მომღერლის ედ შირანის კონცერტზე დასწრება. მისმა დამ გადაწყვიტა მომღერლის მენეჯერს დაკავშირებოდა და მისი ისტორია მოეთხრო.

გოგონა მომღერლის კონცერტზე მისი დაბადების დღეზე მიიწვიეს, როდესაც ის 16 წლის შესრულდა, ასევე კულისებში შესასვლელი საშვიც გამოუწერეს. იქ სიანმა შირანთან გასაუბრება და ფოტოსურათის გადაღება შეძლო. გოგონას მამის თქმით, მომღერალი ძალიან ყურადღებიანი იყო მისი ქალიშვილის მიმართ და სიანს მის მიერ მისთვის დამზადებული სამაჯურიც კი გამოართვა და მთელი კონცერტის მანძილზე არ მოუხსნია.

გოგონა არ ნებდება და იმედი აქვს, რომ სხვა სურვილებსაც აისრულებს, მათ შორის პარაშუტით გადმოხტომასაც.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ტალღაზე შემხტარი სერფერი ზვიგენის ყბებში აღმოჩნდა



ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ ნიუ-სმირნა-ბიჩის მახლობლად მამაკაცი ზვიგენს დაეცა და ამით მისი თავდასხმის პროვოცირება მოახდინა.

40 წლის დონ უოლში წყალზე სერფერით ცურავდა, როდესაც მან ტალღა დაიჭირა, შეხტა და შემთხვევით ორმეტრიან მტაცებელ თევზზე დაეცა. ის სასრიალო დაფიდან გადმოვარდა და წელამდე წყალში აღმოჩნდა.

მამაკაცმა აღიარა, რომ მაშინვე ვერ მიხვდა, თუ რა მოხდა. მან მოულოდნელად ტკივილი იგრძნო ხელსა და ფეხში და ნაპირისკენ გაცურა.

– ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს მატარებელი დამეჯახა. პირველი, რაც აზრად მომივიდა, ზვიგენი უნდა მომეშორებინა, შემდეგ კი დაფას ვტაცე ხელი და ნიჩაბივით მოსმა დავიწყე, რათა რაც შეიძლება მალე გამეღწია ნაპირზე, – გაიხსენა უოლშმა.

დაშავებულს პირველადი სამედიცინო დახმარება პლაჟზევე აღმოუჩინეს, საავადმყოფოში გადაყვანაზე კი თავადვე განაცხადა უარი.

# ქალმა ორპირიანი თევზი დაიჭირა



ამერიკის ქალაქ პლატსბურგში ოჯახურმა წყვილმა დაიჭირა უჩვეულო თევზი, რომელსაც ორი პირი აქვს.

დები გედესი თავის ქმარ ადამთან ერთად ტბა შამპლეინზე თევზაობდა. რაღაც მომენტში ქალმა იგრძნო, რომ ანკესის ძუა ჩვეულებრივზე მეტად დაიჭიმა და გადაწყვიტა, რომ ნემსკავზე მსხვილი თევზი წამოეგო, მაგრამ, როდესაც წყლიდან ტბის კალმახი ამოიყვანა, ის თევზის ზომებს სრულიად არ გაუკვირვებია.

სამაგიეროდ, თევზის დაკვირვებით დათვალიერებისას შენიშნეს, რომ მას ორი პირი ჰქონდა. მათ უცნაურ კალმახს რამდენიმე ფოტოსურათი გადაუღეს, რის შემდეგაც წყალში დააბრუნეს.

ქალი მიიჩნევს, რომ მეორე პირი თევზს სხვა მეთევზის მიერ მიყენებული დაზიანების შედეგად განუვითარდა. ის ასევე აღნიშნავს, რომ კალმახი საკმაოდ ჯანმრთელად და აქტიურად გამოიყურებოდა. მისი მეუღლე კი ფიქრობს, რომ ეს ყველაფერი მუტაციის შედეგია, რასაც ტბის ჩამდინარე წყლებით დაბინძურება იწვევს.

# ლიდერები იგებენ

**დინამო (თბ)-დილა 5:0**

**თბილისი. დინამო არენა**

1:0 კუტალია (13), 2:0 ქავთარაძე (29), 3:0 კუტალია (57), 4:0 შულაია (87), 5:0 კარიკარი (88)

დინამოელებს მიჯრით 9 მოგება ჰქონდათ, ბოლოს კი რუსთავთან ფრედ ითამაშეს, ამიტომ მოედანზე მორიგი 3 ქულისთვის გავიდნენ. მასპინძლებმა მატჩი აქტიურად დაიწყეს და უკვე მე-13 წუთზე გიორგი ქიმაძის ჩაწოდების შემდეგ ლევან კუტალიამ თავით დაჰკრა და ანგარიშიც გაიხსნა 1:0.

თბილისელებმა მე-2 გოლი შეხვედრის 29-ე წუთზე გაიტანეს: ნიკა ნინუას პასის შემდეგ ნოდარ ქავთარაძე მეკარესთან პირისპირ გავიდა და გოლიც გაიტანა.

მასპინძლებმა დიდი სათამაშო უპირატესობა მესამე გოლში 57-ე წუთზე ასახეს, ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე ლევან კუტალიამ დუბლი შეასრულა და ბომბარდირთა დავაში 14 გოლით პირველ ადგილზეც აინაცვლა.

ცოტა ხანში კუტალიას ნაცვლად მოედანზე კვამე კარიკარი შევიდა. 70-ე წუთზე სწორედ კარიკარის შეეძლო მეოთხე გოლის გატანა, მაგრამ ახლო მანძილიდან თავური მეკარეს გაარტყა. დინამოელებმა გააგრძელეს შეტევები და მატჩის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე კიდევ 2 გოლი გაიტანეს და 2-ვე შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელებმა – ჯერ აკაკი შულაიამ ცრუმოძრაობით რამდენიმე მეტოქე ჩამოიცილა და ლამაზი გოლი გაიტანა, შემდეგ კი კარიკარიმ ზუსტი დარტყმით მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 5:0.

**რუსთავი-დინამო (ბთ) 0:2**

**რუსთავი. ტექნიკური ცენტრი**

0:1 ფლამარიონი (19), 0:2 დვალიშვილი (23)



ეროვნულ ლიგაში 8 თამაშიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა რუსთავმა, რომელმაც საშინაო მატჩი ბათუმის დინამოსთან ანგარიშით 0:2 დათმო.

მატჩი სტუმართა აშკარა უპირატესობით დაიწყო და უკვე მე-19 წუთზე ზღვისპირელები ჯოვინო ფლამარიონმა დააწინაურა. 23-ე წუთზე კი გია გეგუჩაძის გუნდის უპირატესობა ორამდე ვლადიმერ დვალიშვილმა გაზარდა.

შეხვედრის მე-2 ნახევარში დინამომ შეტევებს უკლო და უმეტესად საკუთარი კარის მშრალად შენახვაზე იყო ორიენტირებული, რაც კარგად გამოუვიდა კიდეც. ბათუმელები ზედიზედ მე-5 თამაშია მეტოქეს გოლის გატანის საშუალებას არ აძლევენ.

**საბურთალო-ჩიხურა 1:0**

**თბილისი. მიხეილ მესხი**

1:0 კოხრეიძე (52)

საბურთალომ აქტივს მორიგი ქულები შემატა – გიორგი ჭიაბრიშვილის შეგირდებმა ამჯერად საჩხერის ჩიხურა დაამარცხეს – 1:0. გამარჯვების მომტანი ბურთი მატჩის 52-ე წუთზე გიორგი კოხრეიძემ თავური დარტყმით გაიტანა, საგოლე პასი კი ელვინ ტერამ მიიწერა.

**ლოკომოტივი-სიონი 1:1**

**თბილისი. მიხეილ მესხი 2**

0:1 ივანიშვილი (79), 1:1 შონია (86)

საინტერესო მატჩი გამოდგა. ორივე გუნდს ქულები სჭირდებოდათ და მოედანზე მოსაგებად გავიდნენ, თუმცა, საბოლოოდ, ისე მოხდა, რომ გუნდები თითო ქულას დასჯერდნენ.

ანგარიში 79-ე წუთზე სტუმრებმა გახსნეს, როდესაც მარჯვენა ფლანგიდან ტვილდიანის ჩაწოდებულ ბურთს ივანიშვილმა ბულისკერიას კარის ბადეში მიუჩინა ადგილი.

86-ე წუთზე კი მასპინძლებმა საპასუხო გოლი გაიტანეს – ჯარიმა სამურკასოვმა ჩააწოდა და კარის წინ ყველას შონიამ დაასწრო.

**ტორპედო-ვიტ ჯორჯია 1:0**

**ქუთაისი. 26 მაისი**

1:0 ჩუკვურა (72)

მასპინძლებმა ხუთმატჩიანი მოუგებელი სერია დაასრულეს. გათამაშების აუტსაიდერთან დაპირისპირება ქუთაისელებმა ერთადერთი გატანილი გოლით მოიგეს.

მატჩის 72-ე წუთზე ვიტ ჯორჯიას კარი რაფაელ ჩუკვურამ აიღო და გუნდს მნიშვნელოვანი 3 ქულა მოუტანა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 26 | 16 | 4 | 6 | 45-22 | 52 |
| 2.დინამო (თბ) | 25 | 16 | 3 | 6 | 53-25 | 51 |
| 3.საბურთალო | 24 | 14 | 5 | 5 | 42-26 | 47 |
| 4.ტორპედო | 25 | 11 | 5 | 9 | 45-37 | 38 |
| 5.ლოკომოტივი | 26 | 11 | 4 | 11 | 32-34 | 37 |
| 6.ჩიხურა | 26 | 7 | 10 | 9 | 33-30 | 31 |
| 7.რუსთავი | 26 | 7 | 8 | 11 | 30-41 | 29 |
| 8.დილა | 26 | 7 | 6 | 13 | 26-37 | 27 |
| 9.სიონი | 26 | 7 | 6 | 13 | 28-61 | 27 |
| 10.ვიტ ჯორჯია | 26 | 4 | 5 | 17 | 12-33 | 17 |

# საქართველოს ნაკრებს დავით ხოჭოლავა გამოაკლდა



საქართველოს ნაკრები სექტემბრის მატჩებს დაცვის ხაზში პრობლემებით ხვდება. დონეცკის შახტარის ცენტრალურმა მცველმა დავით ხოჭოლავამ ვარჯიშზე მხარი ამოიგდო და უქმობა მოუწევს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ეროვნული გუნდის კიდევ ერთ ცენტრალურ მცველს, საბა კვერკველიას, გაზაფხულიდან მოყოლებული არ უთამაშია და სასურველ კონდიციებში არც სან ხოსეს მცველი გურამ კაშიაა, ვლადიმირ ვაისს სამხრეთ კორეასა და დანიასთან მატჩებისთვის საფიქრალი ემატება.

შახტარის 26 წლის ქართველ მცველს დაახლოებით 3-4 კვირა გაუცდება და გუნდს ვერც ჩემპიონთა ლიგაში, მანჩესტერ სიტისთან საშინაო შეხვედრაში დაეხმარება.

**დავით ხოჭოლავა:**

– ვარჯიშზე მხარი ამოვიგდე. გამოჯანმრთელებას 3-4 კვირა დასჭირდება. დიდი ალბათობით, ნაკრების უახლოეს მატჩებსაც გამოვტოვებ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ეროვნული გუნდი 5 სექტემბერს სტამბოლში ამხანაგურ შეხვედრაში სამხრეთ კორეას დაუპირისპირდება, ხოლო 8 სექტემბერს თბილისში, დანიის ნაკრებთან, ევროპის 2020 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მორიგ მატჩს ჩაატარებს.

## კალეიდოსკოპი

# მამაკაცმა ჯეკპოტი მოხსნა და მოგება ოჯახს დაუმალა



კანადის ქალაქ ედმონტონში მამაკაცმა ჯეკპოტი მოხსნა და გადაწყვიტა მოგებული ფული ოჯახის წევრებისგან დაემალა.

ბონ ტრუონგმა, რომელიც კანადაში ვიეტნამიდან 30 წლის წინ ჩამოვიდა, 60 მილიონი კანადური დოლარის მოგების შესახებ გასული წლის ოქტომბრის ბოლოს შეიტყო და მას შემდეგ ამის შესახებ არავისთვის გაუმხელია. ათწლეულების მანძილზე ის ლატარიის ბილეთებში ერთსა და იმავე რიცხვებს წერდა, ხოლო როდესაც მოიგო, საკუთარ თვალებს არ უჯერებდა.

– მაღაზიაში მივედი და გამყიდველს ვთხოვე, რომ მომგებიანი რიცხვები ამოებეჭდა, უბრალოდ, დარწმუნებული რომ ვყოფილიყავი, – განაცხადა მამაკაცმა.

ტრუონგი თვლიდა, რომ მისი ახლობლები მზად უნდა ყოფილიყვნენ ასეთი სერიოზული ცვლილებისთვის და ამიტომ მისთვის მოგების შესახებ თქმას არ ჩქარობდა. მამაკაცს სამი შვილი ჰყავს და სურს, რომ ისინი პატიოსან შრომას შეეჩვივნენ, მიუხედავად ასეთი დიდი თანხის მოგებისა. თავად ის ლანდშაფტის დიზაინერად მუშაობას აგრძელებს. მოგებული თანხის ნაწილით გადასახადებს გადაიხდის, ახალ სახლს იყიდის, დანარჩენს კი სამომავლოდ გადადებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# შედეგები

## 1 სექტემბერი

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ევერტონი-ვულვზი ........................ 3:2
არსენალი-ტოტენჰემი .................... 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 4 | 4 | 0 | 0 | 12-3 | 12 |
| 2.სიტი | 4 | 3 | 1 | 0 | 14-3 | 10 |
| 3.ლესტერი | 4 | 2 | 2 | 0 | 6-3 | 8 |
| 4.პრ.პალასი | 4 | 2 | 1 | 1 | 3-2 | 7 |
| 5.არსენალი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-6 | 7 |
| 6.ევერტონი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-4 | 7 |
| 7.ვესტ ჰემი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-7 | 7 |
| 8.მანჩესტერი | 4 | 1 | 2 | 1 | 7-4 | 5 |
| 9.შეფილდი | 4 | 1 | 2 | 1 | 5-5 | 5 |
| 10.ტოტენჰემი | 4 | 1 | 2 | 1 | 7-6 | 5 |
| 11.ჩელსი | 4 | 1 | 2 | 1 | 6-9 | 5 |
| 12.ბარნლი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-6 | 4 |
| 13.საუთჰემპტონი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-6 | 4 |
| 14.ნიუკასლი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-5 | 4 |
| 15.ბორნმუთი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-8 | 4 |
| 16.ბრაიტონი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-7 | 4 |
| 17.ვულვზი | 4 | 0 | 3 | 1 | 4-5 | 3 |
| 18.ასტონ ვილა | 4 | 1 | 0 | 3 | 4-6 | 3 |
| 19.ნორვიჩი | 4 | 1 | 0 | 3 | 6-10 | 3 |
| 20.უოტფორდი | 4 | 0 | 1 | 3 | 2-8 | 1 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ვერდერი-აუგსბურგი ..................... 3:2
აინტრახტი-ფორტუნა ..................... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლაიპციგი | 3 | 3 | 0 | 0 | 9-2 | 9 |
| 2.ბაიერნი | 3 | 2 | 1 | 0 | 11-3 | 7 |
| 3.ვოლფსბურგი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-2 | 7 |
| 4.ლევერკუზენი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-3 | 7 |
| 5.დორტმუნდი | 3 | 2 | 0 | 1 | 9-5 | 6 |
| 6.ფრაიბურგი | 3 | 2 | 0 | 1 | 7-3 | 6 |
| 7.აინტრახტი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-3 | 6 |
| 8.გლადბახი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 10.შალკე | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 11.უნიონი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-6 | 4 |
| 12.ფორტუნა | 3 | 1 | 0 | 2 | 5-6 | 3 |
| 13.ვერდერი | 3 | 1 | 0 | 2 | 6-8 | 3 |
| 14.კიოლნი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-6 | 3 |
| 15.პადერბორნი | 3 | 0 | 1 | 2 | 4-7 | 1 |
| 16.აუგსბურგი | 3 | 0 | 1 | 2 | 4-9 | 1 |
| 17.ჰერტა | 3 | 0 | 1 | 2 | 2-8 | 1 |
| 18.მაინცი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-12 | 0 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ჰამბურგი-ჰანოვერი ..................... 3:0
ოსნაბრიუკი-კარლსრუე ................ 3:0
კილი-აუე ..................................... 1:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ვალენსია-მალიორკა ..................... 2:0
ატლეტიკო-ეიბარი ........................ 3:2
ესპანიოლი-გრანადა ..................... 0:3
ვილიარეალი-რეალი ..................... 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ატლეტიკო | 3 | 3 | 0 | 0 | 5-2 | 9 |
| 2.სევილია | 3 | 2 | 1 | 0 | 4-1 | 7 |
| 3.ბილბაო | 3 | 2 | 1 | 0 | 4-1 | 7 |
| 4.ლევანტე | 3 | 2 | 0 | 1 | 4-2 | 6 |
| 5.რეალი | 3 | 1 | 2 | 0 | 6-4 | 5 |
| 6.ოსასუნა | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| 7.ალავესი | 3 | 1 | 2 | 0 | 2-1 | 5 |
| 8.ბარსელონა | 3 | 1 | 1 | 1 | 7-5 | 4 |
| 9.გრანადა | 3 | 1 | 1 | 1 | 7-5 | 4 |
| 10.ვალენსია | 3 | 1 | 1 | 1 | 3-2 | 4 |
| 11.სოსიედადი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-3 | 4 |
| 12.სელტა | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 4 |
| 13.ვალიდოლიდი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 4 |
| 14.მალიორკა | 3 | 1 | 0 | 2 | 2-4 | 3 |
| 15.ბეტისი | 3 | 1 | 0 | 2 | 5-8 | 3 |
| 16.ხეტაფე | 3 | 0 | 2 | 1 | 2-3 | 2 |
| 17.ვილიარეალი | 3 | 0 | 2 | 1 | 7-8 | 2 |
| 18.ეიბარი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-5 | 1 |
| 19.ესპანიოლი | 3 | 0 | 1 | 2 | 0-5 | 1 |
| 20.ლეგანესი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-4 | 0 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ლუგო-ალკორკონი ........................ 2:4
რაიო-დეპორტივო ........................ 3:1
ხიხონი-ალბასეტე ......................... 2:0
ხირონა-მალაგა ........................... 1:0
პონფერადინა-ტენერიფე .............. 4:0
კადისი-ესტრემადურა ................... 2:1

**იტალია. სერია ა**

ლაციო-რომა ................................ 1:1
ატალანტა-ტორინო ....................... 2:3
ჯენოა-ფიორენტინა ...................... 2:1
კალიარი-ინტერი .......................... 1:2
ლეჩე-ვერონა .............................. 0:1
სასუოლო-სამდორია ..................... 4:1
უდინეზე-პარმა ............................ 1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-1 | 6 |
| 2.იუვენტუსი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-3 | 6 |
| 3.ლაციო | 2 | 1 | 1 | 0 | 4-1 | 4 |
| 4.ბოლონია | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 5.უდინეზე | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 6.მილანი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| 7.ატალანტა | 2 | 1 | 0 | 1 | 5-5 | 3 |
| 8.ტორინო | 2 | 2 | 0 | 0 | 5-3 | 6 |
| 9.ნაპოლი | 2 | 1 | 0 | 1 | 7-7 | 3 |
| 10.ბრეშა | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| 11.ჯენოა | 2 | 1 | 1 | 0 | 5-4 | 4 |
| 12.რომა | 2 | 0 | 2 | 0 | 4-4 | 4 |
| 13.ვერონა | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 14.ფიორენტინა | 2 | 0 | 0 | 2 | 4-6 | 0 |
| 15.კალიარი | 2 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 16.სპალი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-4 | 0 |
| 17.სამპდორია | 2 | 0 | 0 | 2 | 1-7 | 0 |
| 18.ლეჩე | 2 | 0 | 0 | 2 | 0-5 | 0 |

**იტალია. სერია ბ**

პესკარა-პორდენონე ..................... 4:2
იუვე სტაბია-პიზა ........................ 0:2
ფროზინონე-ასკოლი ..................... 2:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

რეიმსი-ლილი .............................. 2:0
რენი-ნიცა ................................... 1:2
სტრასბური-მონაკო ...................... 2:2
მარსელი-სტ.ეტიენი ..................... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 4 | 3 | 0 | 1 | 10-2 | 9 |
| 2.რენი | 4 | 3 | 0 | 1 | 6-3 | 9 |
| 3.ნიცა | 4 | 3 | 0 | 1 | 7-5 | 9 |
| 4.ანჟე | 4 | 3 | 0 | 1 | 8-7 | 9 |
| 5.ლიონი | 4 | 2 | 1 | 1 | 10-2 | 7 |
| 6.რეიმსი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-1 | 7 |
| 7.ნანტი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-3 | 7 |
| 8.მარსელი | 4 | 2 | 1 | 1 | 3-3 | 7 |
| 9.ტულუზა | 4 | 2 | 1 | 1 | 4-5 | 7 |
| 10.ლილი | 4 | 2 | 0 | 2 | 5-4 | 6 |
| 11.ბორდო | 4 | 1 | 2 | 1 | 5-5 | 5 |
| 12.ბრესტი | 4 | 1 | 2 | 1 | 3-5 | 5 |
| 13.ნიმი | 4 | 1 | 1 | 2 | 6-7 | 4 |
| 14.მონპელი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-2 | 3 |
| 15.მეცი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-4 | 6 |
| 16.სტ.ეტიენი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-6 | 4 |
| 17.ამიენი | 4 | 1 | 0 | 3 | 3-6 | 3 |
| 18.სტრასბური | 4 | 0 | 3 | 1 | 3-5 | 3 |
| 19.მონაკო | 4 | 0 | 2 | 2 | 4-10 | 2 |
| 20.დიჟონი | 4 | 0 | 0 | 4 | 1-7 | 0 |

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

ტვენტე-უტრეხტი ......................... 3:1
სპარტა-აიაქსი ............................. 1:4
ტილბურგი-ფეინოორდი ................ 0:1
ვიტესი-ალკმაარი ........................ 2:1
ვალვაიკი-პსვ .............................. 1:3

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ტონდელა-სანტა კლარა ................ 0:0
პორტუ-ბოავიშტა ........................ 3:0
ბრაგა-ბენფიკა ............................ 0:4

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ურალი-კრასნოდარი ..................... 2:4
არსენალი-ცსკა ............................ 1:2
სპარტაკი-ზენიტი ........................ 0:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ბაზელი-ლუგანო .......................... 2:1
ლუცერნი-იანგ ბოიზი ................... 2:2
თუნი-სიონი ................................ 0:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

რეინჯერსი-სელტიკი .................... 0:2

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

აუსტრია-რაპიდი ......................... 1:3
ალტახი-შტურმი ........................... 1:2
სტ.პოლტენი-ჰარტბერგი .............. 1:3

**ბელგია. ა დივიზიონი**

ბრიუგე-გენკი .............................. 1:1
ანდერლეხტი-სტანდარდი ............. 1:0
გენტი-სერკლი ............................. 3:2
ვარეგემი-ანტვერპენი .................. 2:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

პაოკი-პანიონიოსი ....................... 2:1
ლარისა-ოლიმპიაკოსი .................. 0:1
ლამია-ატრომიტოსი ..................... 2:2
ასტერასი-აეკი ............................. 2:3

**თურქეთი. სუპერლიგა**

გენჩლერი-ბაშაქშეჰირი ................ 1:2
სივასი-გაზიანთები ...................... 1:1
მალათია-ალანია ......................... 2:3
ფენერბახჩე-ტრაბზონი ................. 1:1

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ჩესკე-ზლინი .............................. 2:0
ოპავა-სლავია .............................. 1:1
ტეპლიცე-კარვინა ....................... 0:0
იაბლონეცი-ბანიკი ....................... 2:1
სპარტა-სიგმა ............................. 3:3

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

სლასკი-პოგონი ........................... 1:1
ლეხი-კრაკოვია ........................... 1:2
ლეგია-ჩენსტოხოვა ...................... 3:1

**უკრაინა. სუპერლიგა**

ოლიმპიკი-შახტარი ...................... 0:4
ზორია-დინამო ............................. 2:2

**დანია. სუპერლიგა**

ორხუსი-ესბიერგი ........................ 1:0
რანდერსი-სილკებორგი ................ 2:0

**რანდერსის ორივე გოლი საბა ლობჟანიძემ გაიტანა**

ჰორსენსი-ლუნგბიუ ..................... 2:1
ოლბორგი-კოპენჰაგენი ................ 1:0
მიდტიულანდი-ბრონდბიუ ............ 1:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

აიკი-დიურგარდენი ..................... 1:0
კალმარი-მალმიო ......................... 0:5
სუნდსვალდი-გიოტებორგი ........... 0:2

**გიოტებორგის პირველი გოლი გიორგი ხარაიშვილმა გაიტანა**

ნორჩიოპინგი-ჰამარბი ................. 2:0
ჰაკენი-ფალკენბერგი ................... 4:1

**ნორვეგია. ელიტსერია**

ლილესტრიომი-ბრანი ................... 1:3
მიონდალენი-მიოლდე ................... 1:3
რანჰეიმი-კრისტიანსუნდი ............ 1:2
სარპსბორგი-ვიკინგი ................... 2:2
ტრომსო-ჰაუგესუნდი .................. 2:2
ვალერენგა-რუსენბორგი ............... 1:1

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ლახტი-მარიეჰამნი ...................... 0:1
ჰიკი-როვანიემი .......................... 2:2

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ფილიპინებსა და ინდონეზიაში მზარდი „პურის ხედ" წოდებული ტროპიკული მცენარე; 2. ბარიტის საბადო რაჭაში; 3. გასუფთავებული ნატეხი შაქარი; 4. დეტექტიური ჟანრის ფუძემდებლად მიჩნეული ამერიკელი მწერალი; 5. გეომეტრიული ფიგურა; 6. მატყლის სართავი უმარტივესი ბზრიალა-ხელსაწყო; 7. ესპანეთის პრემიერ-მინისტრი; 10. ატმოსფერული წნევის საზომი ერთეული; 11. მოულოდნელი საჩუქარი; 12. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ამერიკული ფირმა; 13. ბერძნული ყველი; 16. მოყვითალო ფერის წინწკლები სახეზე, ხელებზე; 18. შებოლილი ძეხვი; 19. რაიმეს სპეციალურად შერჩეული ნარევი, ნაკრები; 21. წყნარი, უქარო ამინდი ზღვაზე; 24. მაგიდა სადურგლო სამუშაოებისთვის.

**თარაზულად:** 1. ცირკის მასხარა; 3. ანჩხლი, ავი დედაკაცი; 8. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 9. სახელმწიფო კარიბის ზღვაში; 14. აჭარაში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ჯიში; 15. მაღალმთიანი კურორტი აჭარაში; 17. ბილიარდის მაგიდის ნაწილი; 20. ტელეგრაფით გაგზავნილი სასწრაფო შეტყობინება; 22. ქართველი ფიზიკოსი, ჰუმბოლდტის პრემიის ლაურეატი; 23. ნიჩბოსანთა ნავის მოძრავი სკამი; 25. სოფელი წალენჯიხის რაიონში; 26. ხერესის მარკის ღვინოების მწარმოებელი ესპანური ფირმა; 27. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 28. პატარა ზარი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. მარშალი; 3. მარაბუ; 8. პარადი; 10. კომედია; 11. არმია; 12. კადრილი; 14. აგამია; 15. პრიმატი; 16. გოგრა; 19. რაკეტა; 20. კამელია; 21. მედალი.

**შვეულად:** 1. მანდრაგორა; 2. ლიმონი; 3. მუნდირი; 4. ბასმა; 5. კარტინგი; 6. კაენი; 7. ლიტავრა; 9. პრიზმა; 13. პაიკი; 17. გორა; 18. სია.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ლი; 2. რეა; 3. ლასო; 4. ტრიუმო; 5. პუშტუ; 6. ჩაი; 7. სტეპი; 8. ტიტა; 9. რაუტი; 10. რიო; 11. ტაუ; 12. ჯამბული; 13. ხორაგი; 14. ნისანი; 15. სერ; 16. სარაცენია; 17. კაა; 18. ცდა; 19. ნავიგაცია; 20. მისტრალი; 21. განი; 22. ანდანტე; 23. ბესინჯერი; 24. ნო; 25. ვანადიუმი; 26. არგონი; 27. კიი; 28. სინი; 29. აბრაამ; 30. როკ; 31. ბაზა; 32. მის; 33. მელ; 34. რამაიანა; 35. ტრამალი.

**სურათებზე:** გოლდი ჰოუნი; გარი ნევილი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


3 სექტემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9614

ევრო — 3.2481

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5765

100 რუსული რუბლი — 4.4367

## ამინდის პროგნოზი 3 სექტემბერი




## ნუგზარ ჯუღელი გარდაიცვალა



ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, მსახიობი და სპორტული კომენტატორი ნუგზარ ჯუღელი გარდაიცვალა. სამწუხარო ინფორმაცია პირველმა არხმა გაავრცელა.

საქართველოს პირველი არხის ყოფილი სპორტული კომენტატორი იმ თაობას მიეკუთვნებოდა, ვინც ქართულ ტელევიზიაში გამორჩეული კვალი დატოვა.

ნუგზარ ჯუღელი საქართველოს პირველ არხზე 50 წელზე მეტხანს მუშაობდა და თავისი ფრთიანი გამონათქვამებით მაყურებელს განსაკუთრებულად შეაყვარა თავი.

## ხელის თხოვნა მიუზიკლ „ჩხიკვთა ქორწილზე“



ანსამბლმა „ივერიამ“ ალექსანდრე ბასილაიას ლეგენდარული მიუზიკლი „ჩხიკვთა ქორწილი“ ბლექ სი არენაზე უკვე მეორედ წარმოადგინა.

ანშლაგით მიმდინარე მიუზიკლის ბოლოს მონაწილეებიც და მაყურებლებიც სასიამოვნო სიურპრიზის მოწმენი გახდნენ.

„ჩხიკვთა ქორწილის“ ერთ-ერთ მონაწილეს, შორენა ჯაფარიძეს, მისმა შეყვარებულმა ხელი სთხოვა. ის რჩეულს საჯაროდ გამოუტყდა სიყვარულში და თანხმობის მიღების შემდეგ, სცენაზე ვარდების უზარმაზარი თაიგულით და ბეჭდის თანხლებით ავიდა.

გადავსებულმა დარბაზმა წყვილს გაბედნიერება ანსამბლის წევრებთან ერთად მხურვალე აპლოდისმენტებით და ხანგრძლივი შეძახილებით მიულოცა.

## ეკა კვალიაშვილი თემურ თათარაშვილს სიმღერის მითვისებაში ადანაშაულებს



მომღერალი ეკა კვალიაშვილი თავის ქართველ კოლეგა თემურ თათარაშვილს მისი სიმღერის მითვისებაში ადანაშაულებს.

მომღერალმა ინტერნეტში მოძიებული ვიდეო სოციალურ ქსელში გაავრცელა, სადაც ერთ-ერთ კონცერტზე ლუბა უსპენსკაია ამბობს, რომ ეს სიმღერა მას თემურ თათარაშვილმა დაუთმო.

— აი, ბატონო, მტკიცებულება, რომ თათარაშვილმა, იმისათვის, რომ გარეულიყო სასტავში, და მე, მაგის ჭკუაში რას ვიზამდი და დაიკიდა, აი, ეს გააკეთა, რაზეც ყველა დაჯარიმდება.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## უყურადღებობამ ქალს ორმაგი მოგება მოუტანა



ავსტრალიის ქალაქ პერტის მკვიდრ ქალბატონს ლატარიის ბილეთში რიცხვები შეეშალა და ჯეკპოტი მოხსნა.

ქალის თქმით, მან ლატარიის ორი ბილეთი შეიძინა, ერთში შეყვარებულის ბედნიერი ნომრები უნდა ჩაეწერა, ხოლო მეორეში — თავისი, თუმცა შემთხვევით ორივეში მხოლოდ საკუთარი ნომრები ჩაწერა.

როდესაც ავსტრალიელმა შეცდომა აღმოაჩინა, გული დასწყდა და გადაწყვიტა, ეს ფაქტი შეყვარებულისთვის არ გაემხილა, შემდეგ კი გაიგო, რომ ამით მხოლოდ გაიორმაგა მოგება, რომელმაც ორი მილიონი ავსტრალიური დოლარი შეადგინა და არა ერთი.

— ვფიქრობ, ამის მერე მან მაპატია შეცდომა, — აღნიშნა ქალმა. წყვილმა გადაწყვიტა, მოგებული თანხა ახალი მანქანის შეძენასა და მოგზაურობაში დახარჯოს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ასტროპროგნოზი

### 3 სექტემბრისთვის



**ვერძი** — რომანტიკულ განწყობას სხვებსაც გადასდებთ. ნებისმიერი შეხვედრა სასიამოვნო იქნება და გაგახალისებთ. **კურო** — ბევრი საქმე გაქვთ, თუმცა ეს ხელს ვერ შეგიშლით, რათა გასართობადაც მოიცალოთ. საკუთარ თავზე იზრუნეთ. **ტყუპები** — პლანეტები გწყალობენ. სიყვარული გეწვევათ. ყოველმხრივ ძალიან გაგიმართლებთ. **კირჩხიბი** — ნებისმიერ საქმეს თავს წარმატებით გაართმევთ. შესაძლოა, დიდი ხნის უნახავ მეგობარს შეხვდეთ. **ლომი** — აღმაფრენას გრძნობთ. პირად ცხოვრებაში ძალზე სასიკეთო ცვლილებები მოხდება. საპირისპირო სქესთან ურთიერთობა წარმატებულია. **ქალწული** — მომავალი თამამად დაგეგმეთ, ოღონდ ენერგია რაციონალურად გაანაწილეთ. ფიზიკურ დატვირთვას ერიდეთ. **სასწორი** — დღეს მიღებული გადაწყვეტილება ძალზე მნიშვნელოვანი იქნება. ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. **ღრიანკალი** — დღევანდელი დღისთვის ემოციური აღმავლობაა დამახასიათებელი. კრიტიკულ სიტუაციას თავს მარტივად დააღწევთ. **მშვილდოსანი** — მშვენიერ ხასიათზე ხართ. ყველაფერში გიმართლებთ. ჯანმრთელობას მეტი ყურადღება მიაქციეთ. მხოლოდ ჯანსაღი საკვები მიიღეთ. **თხის რქა** — ძველ მეგობრებთან შეხვედრა გაგახარებთ. შესაძლოა, გავლენიანი მფარველი გამოგიჩნდეთ. **მერწყული** — სასიცოცხლო პოტენციალი ქვეითდება. მომავალს ეჭვით უყურებთ. დაწყებული საქმის დასამთავრებლად გარს თანამოაზრეები შემოიკრიბეთ. **თევზები** — დაბრკოლებების გადალახვა არ გაგიძნელდებათ. საჭიროების შემთხვევაში მეგობრები სიამოვნებით დაგეხმარებიან.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## იუმორი

ჯვრისწერის ცერემონიის შემდეგ სიძე მღვდელთან მივიდა და ეკითხება:

— მამაო, რამდენია გადასახდელი?

— არაფერი, შვილო ჩემო, მაგრამ თუ თქვენ გსურთ ეკლესიას თანხა შემოსწიროთ, გაგვიხარდება.

— და რამდენია საჭირო?

— და თქვენ რამდენად შეაფასებდით თქვენი მეუღლის სილამაზეს?

სიძემ ლარიანი ამოიღო და გაუწოდა. მამაომ პატარძალს დაკვირვებით შეხედა, შემდეგ ჯიბიდან ხურდა ფული ამოიღო და სიძეს გაუწოდა:

— აი, აიღე, ხურდა გერგება!

•••

ხალხით სავსე ავტობუსში ასულ მამაკაცს ხელში კვერცხებით სავსე პარკი უჭირავს. სკამზე მჯდომი გოგონა ეუბნება:

— მომეცით, კვერცხებს მაინც დაგიჭერთ!

— არა, გმადლობ, შეღუტუნების მეშინია.

•••

ფსიქიატრიულის დერეფანში ორი ავადმყოფი ზის. მათ გვერდით მედდამ ჩაუარა და კარის გაღება სცადა, მაგრამ ვერ შეძლო. ერთ-ერთი ავადმყოფი ეუბნება:

— უფრო მაგრად მოქაჩე.

მედდა უფრო მაგრად დაეჯაჯგურა კარს, მაგრამ მაინც ვერ გააღო და ჩაილაპარაკა:

— ალბათ დაკეტილია.

— არა, — უპასუხა ერთ-ერთმა, — უბრალოდ, მეორე მხარეს იღება. ჩვენ კი ვიფიქრეთ, რომ სახელურის მოხსნა გინდოდა.

•••

ქალი და კაცი საუბრობს. კაცი ეკითხება:

— თქვენ ვინ ხართ პროფესიით?

— პედაგოგი, და თქვენ?

— ექიმი.

— გინეკოლოგი?

— არა, მაგრამ შემიძლია დავათვალიერო.

•••

ქმარმა ცოლს საყვარელთან შეუსწრო. ეგრევე დატრიალდა და საყვარელს სთხლიშა.

ცოლი:

— სწორია! აქ არ ცხოვრობს, მაგრამ მაინც დაეთრევა!

ამ დროს საყვარელმა სთხლიშა ქმარს.

ცოლი:

— სწორეა! თვითონ არ შეუძლია და არც სხვას აძლევს საშუალებას!

•••

მამა შვილს ეკითხება:

— შვილო, მე 550 ლარი მაქვს. დედაშენს 150. რამდენი ექნება დედაშენს?

— 700.

— სწორია.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*


გაზეთი „ახალი თაობა“ და ვებგვერდი AKHALITAOBA.GE აცხადებენ 50%-იან საზაფხულო ფასდაკლებას რეკლამის განთავსებაზე 1 სექტემბრის ჩათვლით. დარეკეთ 577 46 06 59 ან 595 18 37 09


## რიანას საცვლების რეკლამამ თაყვანისმცემლებს იმედები გაუცრუა



ამერიკელმა პოპ-შემსრულებელმა რიანამ საკუთარი მარკის Savage x Fenty-ს საცვლების კოლექციის რეკლამაში მიიღო მონაწილეობა. ფოტოსურათები მან ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

31 წლის მომღერალი ერთ-ერთ ფოტოსურათში პუფზე ზურგით კამერისკენ ზის, ხოლო მისი გამოსახულება სარკეშია არეკლილი.

თაყვანისმცემლების ნაწილი რიანას ახალი ფოტოსურათებით აღფრთოვანებული დარჩა.

— რიანა, შენ ჩვენი დედოფალი ხარ! — აღფრთოვანება ვერ დამალა ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა.

— ეს შენი ყველაზე სექსუალური ფოტოა! საოცრად მშვენიერი ხარ, — შეაქო მეორემ.

თუმცა უმრავლესობამ უკმაყოფილება გამოხატა ბრენდის ახალი კოლექციის გამო.

— რაღაც ვერ გავიგე, ესსი ლეოპარდისებური ლეგინსები დიდი ზომებისთვის ხელმიუწვდომელია? — აღშფოთება გამოხატა ერთ-ერთმა ინტერნეტ-მომხმარებელმა.

— თქვენ ინკლუზიურობას უჭერთ მხარს, მაგრამ ეს ლეგინსები დიდი ზომებისთვის მიუწვდომელია, იმის მიუხედავად, რომ მათ მთელი კვირა რეკლამას პლიუს-საიზ მოდელი უკეთებდა, კმარა ბოდიპოზიტიურ ბრენდად თავის წარმოდგენა. თქვენ უბრალოდ მორიგი ბრენდი ხართ, რომელიც ტანსრულ ქალებს გაცილებით ნაკლებ არჩევანს სთავაზობს, ვიდრე გამხდრებს, — უკმაყოფილება ვერ დაფარა მეორემ.

— თქვენი თეთრეული დაბალი ხარისხის მასალისგანაა დამზადებული, ვარჯიშიც კი შეუძლებელია, საერთოდ მათ ვინ ყიდულობს? — გაკვირვება გამოხატა მესამემ.

## ძაღლმა პატრონები გადაარჩინა, თავად კი დაიწვა



ამერიკის ფლორიდის შტატის სენტ-ლუსის ოლქში ძაღლმა თავისი პატრონები ხანძრისგან გადაარჩინა, თავად კი დაიღუპა.

ინციდენტი რამდენიმე დღის წინ მოხდა. 68 წლის ფრედ დონხიას თქმით, მისმა ძაღლმა, სახელად დენისმა, შუაღამისას, როდესაც მთელ ოჯახს ეძინა, ყეფა ატეხა. მამაკაცს გაეღვიძა და დაინახა, რომ სამზარეულოს ცეცხლი ეკიდა. მან ცოლი და შვილი გააღვიძა, სახლიდან გამოვარდნენ და სახანძრო გამოიძახეს.

შემთხვევის ადგილზე მისულმა მეხანძრეებმა ცეცხლის ჩაქრობა ერთ საათში მოახერხეს. მათ დონხიას შინაური კურდღელი გადაარჩინეს, მაგრამ ძაღლის გადარჩენა ველარ შეძლეს.

— ეს ტრაგედიაა. დენისი ისეთი კეთილი იყო! ის რომ არა, ჩვენ ხანძრის შესახებ ვერც კი გავიგებდით. ძაღლმა საკუთარი სიცოცხლის ფასად გადაგვარჩინა, — განაცხადა მამაკაცმა.

დონხიას ბავშვი საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი, ოჯახის დანარჩენი წევრები არ დაშავებულან. ისინი ამჟამად ნათესავებთან ცხოვრობენ. მიმდინარეობს გამოძიება ხანძრის მიზეზების დასადგენად.

## შიშველი დამნაშავე პოლიციელს გამოეკიდა



ამერიკის ვირჯინიის შტატის პიტსილვანიის ოლქში თვითმხილველმა ვიდეოზე გადაიღო შიშველი მამაკაცის მიერ პოლიციელის დევნა. ვიდეოჩანაწერი ერთ-ერთმა ადგილობრივმა ტელეარხმა გამოაქვეყნა.

პიტსილვანიის ოლქის პოლიციამ ფეისბუქში საკუთარი ოფიციალური გვერდის დახმარებით ადგილობრივი მოსახლეობა გააფრთხილა, რომ ამ მხარეში განსაკუთრებულად საშიში დამნაშავე, 19 წლის მეთიუ ბერნარდი მოქმედებდა.

სამშაბათ დილით პოლიციის განყოფილებაში დარეკა და გზის სავალ ნაწილზე დაგდებული გარდაცვლილი ქალის შესახებ შეატყობინა. შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციელებმა დანაშაულის ადგილი დაათვალიერეს და მეზობლად მდებარე ერთ-ერთ სახლში კიდევ ორი გვამი — ქალისა და ბავშვის აღმოაჩინეს.

ამ დროს ქუჩაში შიშველი ბერნარდი გამოვარდა, რომელიც სამმაგ მკვლელობაშია ეჭვმიტანილი და შეეცადა, პოლიციელისთვის წინააღმდეგობა გაეწია. პატრულმა მისი შეჩერება წიწაკიანი ბოთლის დახმარებით ცადა. ამის შემდეგ ეჭვმიტანილი თავს იქვე მყოფ ეკლესიის მსახურს დაესხა და დახრჩობა დაუწყო. მისი მოშორება რეზინის ხელკეტების გამოყენებით მოხერხდა.

საბოლოოდ დამნაშავე პოლიციის ძაღლის გამოყენებით იქნა დაკავებული. მიმდინარეობს მომხდარის გამოძიება.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. დაუსაბუთებლად, ბრმად მიღებული დებულება; 2. ტაილანდის ძველი სახელწოდება; 3. მდინარე ნიუ იორკში; 4. აფრიკული ანტილოპა; 5. ჩაის ბუჩქის ნორჩი ყლორტი; 6. მოქმედების უნარი, ძალა; 9. დამწერლობის უძველესი სახეობა, საგნებისა და მოვლენების გადმოცემა ნახატების საშუალებით; 10. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 11. საოლქო ცენტრი უკრაინაში; 14. ბრიტანეთის კინოაკადემიის პრიზი; 16. რომან „ელგუჯას“ პერსონაჟი; 18. თირკმელების ანთება; 20. მასობრივი თავყრილობა; 23. ტექნიკასა და კულინარიაში გამოყენებული ნახშირმჟავანატრიუმის საყოფაცხოვრებო სახელწოდება; 24. შურისძიების ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 25. კუნძულოვანი სახელმწიფო კარიბის ზღვაში; 26. რაიონული ცენტრი იმერეთში.

**თარაზულად:** 7. ავსტრალიელ აბორიგენთა სატყორცნი იარაღი; 8. ქართველი ბალეტმეისტერი, სამგზის სტალინური პრემიის ლაურეატი; 12. გადახურული სავაჭრო მოედანი ძველ თბილისში; 13. ავსტრალიური ველური ძაღლი; 15. პურეული მცენარე; 17. მუსიკის, ხმის, სიმღერის ჩანაწერი ფირფიტაზე, ფირზე, დისკზე; 19. იტალიური ავტომობილი; 21. ცნობილი ფრანგი კარიკატურისტი; 22. კოლხეთის მითოლოგიური მეფე; 27. პირი, რომელიც განაგებს გემების დატვირთვა-გადმოტვირთვას ნავსადგურში; 28. ტბების შემსწავლელი მეცნიერი.




*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*